# იმედი

## 1882

წელიწადი მეორე.

**№ II**, თებერვალი.

ტფილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1882

# თებერვლის წიგნის შინაარსი.


I. მე და ონისიმე; მოთხრობა . † მიხეილ ასათიანისა
II. წკიპარტი (ლექსი) . . გემისა
III. ხალხური ლექსი . . .
IV. ხალხური სიმღერა . . .
V. მგზავრის შენიშვნები . . ალალო თუთაევისა
VI. საქართველოს მოკლე მატიანე (გაგრძელება) . . . მოსე ჯანაშვილისა
VII. „იმედის" კორრესპონდენცია სენაკიდგან . . . . სენაკელისა
VIII. განცხადებანი . . . .


---

ამ წიგნშიგე დასაბეჭდათ ამოწყობილნი და გამზადებულნი იყვნენ შემდეგი სტატიები, რომლებიც ცენზურამ სამუდამოთ დაიჭირა:

I. წვრილმანი შენიშვნები . . სტ. ქრელაშვილისა
II. შინაური მიმოხილვა . . მ. გურგენიძისა
III. „იმედის" ფოსტა . . . . რედაქციისა

გარდა ამისა, თითონ დაბეჭდილი სტატიებიდგანაც ზოგიერთნი, რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზისა გამო, შემოკლებულ იქმნენ, სტატია კი „საყვედური" — ქიზიყელისა, რედაქციის განკარგულებით, არ დაიბეჭდა, რადგანაც მასზედ პასუხი რედაქციისა და ლექსი თვით ცენზორის ლ. ისარლოვისა, სახელათ „ჩემო მამულო"!!! — მოქცეულნი „იმედის" ფოსტაში, დატუსაღებული შეიქმნენ. ეს იყო მიზეზი თებერვლის წიგნის ამ გვარი სიპატარავისა და დაგვიანებისა, რაზედაც ბოდიშს ვითხოვთ მკითხველებთან.

# ივერია

ყოველ-თვიური

სალიტერატურო და საპოლიტიკო

ჟურნალი.

წელიწადი მეორე

თებერვალი.

6085

საქ. მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

თფილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
1882



Дозволено цензурою, Тифлисъ, 11 января, 1882 года.

# მე და ონისიმე. *)

(მოთხრობა.)

## ნაწილი პირველი.

( გაგრძელება. )

## XII

გათავდა ეგზამენიები; გაიკრიფნენ შინისაკენ სემინარიელები. ჩავაბარგე მეც ხურჯინში, რაც კი რამ მებადა, და გავემგზავრე სოფლისაკენ, რომ გამოვთხოვოდი დედას და ნათესავთა. შინ წასვლა მომიხდა მეფე ერეკლეს გარეტით, ჩვენი მამა-პაპური ურმით. დილით, ღამიანათ გავედით ჩვენ თბილისიდგან და მეორე დილამდი გზაზედ დავრჩით. ეს დრო მე საუკუნეთ მეჩვენა. უფრო გაგრძელდა ჩემთვის შუა დღე, როცა ჩამოცხა საშინლათ, დედა-მიწას აუვიდა სხიდგან პაპანაქების ალ-მული. დაგვსქდა ჩვენ ღვართ-ქაფივით ოფლი და სუნთქვა შეგვეგუბა. სამხრობის ჟამს კი წამოიშალნენ ღრუბლები; მათ თან მოჰყვა დასავლეთის ნიავი და გაგვიგრილა ხელ-პირი. ამ დროს უფრო შემიპყრო მე ფიქრმა, რომელმაც გამიძლიერა შინაგანი სიცხე და კორიანტელი ამადინა სახეზედ.

---

*) დასაწყისი იხილეთ «იმედი» 1881 წ. № 5. № 1 1882 წ.

— როგორ უნდა გაუცხადო ჩემი რუსეთისკენ გამგზავრების წადილი დედა-ჩემსა, რომელიც ეს რვა წელიწადია, რაც დგას მუხლის კვერებზედ და ამას შეღაღადებს დედა ღვთის მშობელს და წმიდა გიორგისა: „მშვიდობით გაათავებინეთ ჩემს მონაგარს კურსი და მალე მოასელვინეთ ჩემს ოხერ-ტიალობისთვისაო." რა დაემართება მას, როცა გაიგებს, რომ მე ოთხი წლით კიდევ უნდა გაუგრძელო იმას ძაღლ-უმადური ცხოვრება ჩემი რუსეთში წასვლითა? გაუძლებს იგი ასეთი ამბის შეტყობას? განა არ გადაირევა? და თუ არაფერი არ დაემართა, დამილოცავს მაინც გულით გზასა?... არა!... ვანუგეშებდი ისევ მევე ჩემს თავსა, დედა-ჩემს არაფერი დაემართება, იგი გზასაც დამილოცავს, რადგანაც შვილის სიკეთისათვის ყველაფერს იზამს დედა, ყველაფერს გაუძლებს, აიტანს; მაგრამ რა ხეირს დამაყრის მე ჩემი სინიდისი? განა არ შემჭამს, არ დამღრღნის, რომ უგრძელებ მას ტანჯვის დროსა, რომელიც, იქნება, რომ ვეღარც კი და აიტანოს?! მაგრამ. . . .

აგეთი ფიქრებით მქონდა მოცული თავი და ვერ შევნიშნე, როგორ დაღამებულიყო. ღამე დაგვიდგა მეტად ბნელი. აგეთ სიბნელეს ზედ მოჰყვა საშინელი ჭექა-ქუხილი და წვიმაც, რომელმაც უცებ ფეხებამდის ჩაგვრეცხა. ამას ერთი ის უბედურებაც დაემატა, რომ ურემი წამოედო დეპეშის ხესა და ღერძი ზედ მიიმსხვრია. ჩავრჩით ამ საშინელ ღვარიანობაში შუა მინდორზედ ცის ქვეშა. მეურმემ გამოუშვა ხარ-კამეჩი და შარას იქით გადალალა საძოვრათა.

— რა ვქნა? საით წავიდეთ? ვკითხე მე ჩემ თავსა. მერე კი გადმოვიღე ხურჯინი, მოვიგდე მხარზედ, ჩავავლე ხელი ჩემს პატარა ძმასა და ვუთხარ: აბა წავიდეთ!

— სად წავიდეთ? მკითხა იმან.

— შინ წავიდეთ აქედგან ფეხით. დიდი მანძილი ჭლარ არის იქამდინ.

ჩვენს სოფლამდი იქნებოდა იმ ადგილიდგან ოც-და-ხუთი ვერსი. მანძილი, მართალია, დიდი არ იყო, მაგრამ ადგილი, რომელიც უნდა გაგვევლო, იყო მეტათ უდაბური და საშიში. გზას სრულებით ვერ გაიგებდა იმ დროს კაცი, რომ გაევლების დროს არ განათებულიყო ხოლმე დედა-მიწის ზურგი. ჯერეთ გვქონდა გადასავალი სერი. როცა ავედით სერზედ, მე შევნიშნე, რომ ამ სიბნელეში ვარსკვლავებივით რაღაცები ბრჭყინავდნენ აქეთ-იქიდგან. მაშინვე მივხვდი, რომ აქ ალბათ მგლის ჯოგი უნდა იყოს მეთქი. არც მოვსტყუედი მე ამაში. დიდი ხანი აღარ გამოსულა მას შემდეგ, როგორც საზარელის ხმით შესძახა ერთმა, მეორემ მას ბანი მისცა და ბოლოს შეიქმნა ერთი თავ-ზარ დასაცემი რამ ფერხისა. მე თუმცა არ მეშინოდა, მაგრამ ქუდი ვეღარ დავიყენე თავზედ. ნუ იტყვით, თურმე ჩემს უნებურათ ქოჩორი მაღლა ამდგარიყო და ის არ მიყენებდა თავზედ ქუდსა. მომაგონდა იმ დროს მამა-ჩემი: იმასაც, როცა ახალ-გაზდა მღვდელი ყოფილიყო, ერთხელ ასდევნებოდა ესე მგლის ხროვა და კინაღამ არ შაეჭამა—თავი იმით გადაერჩინა, რომ ამოელო უბის ჯიბიდგან სანაწილე და ქმლივა პირში, როცა რომელიმე წამოუეწუნებდა. მომაგონდა ეს ამბავი და ჯვარი მომივიდა ჩემს თავზედ, რომ არც მე და არც ჩემს პატარა ძმასა არა გვქონდა რა გულზედ. მე ვშიშობდი უფრო ჩემ პატარა ძმაზედ; მაგრამ ის ჩემზედ უფრო ყოჩაღათ იყო. მე მაინც მოვიხადე თავიდგან ჩემი ქუდი და მას დავხურე თავზედ. აი რისთვის. პატარაობაში მე ძრიელ მშიშარა რამ ვიყავი. შებინდდებოდა თუ არა, მე გარეთ ვეღარ გამოვიდოდი ხოლმე.

ერთხელ საღამოს ჟამს ვენახიდგან შინასკენ მოვდიოდით. გზაზედ ღელე გვქონდა გამოსავლელი. როცა შემოვედით ამ ღელეში, აქეთ-იქიდგან ტურებმა კივილი შექმნეს. მე შევშინდი და მამას მოვეხვიე. მამა გამიჯავრდა ამისათვის:

— ვისი შვილი ხარ, რომ მაგრე გეშინიან? მითხრა მან მრისხანებით, მერე კი მოიხადა თავისი წოპ-წოპინა ქუდი, დამხურა თავზედ, ჩემი კარტუზი კიდე თითონ მოიგდო კეფაზედ და მაშინ კი ალერსიანათ დაუყოლა:

— აჰა, შვილო, ეხლა აღარ შეგეშინდება!...

არ ვიცი, რა ძალა ჰქონდა იმის ქუდს, ანუ იმის სიტყვებსა, ეს კი იყო, რომ იმას შემდეგ მე აღარ შემშინებია. პირ იქით იგეთი უშიშარი რამ გავხდი, რომ თოთხმეტის წლის ბიჭი დათვთან შესაბრძოლებლათაც კი წავედი.

გავიარეთ ათიოდე ვერსი. ის შეჩვენებულები მაინც არა გვშორდებოდნენ თვალებიდგან, თუმცა ახლო მოსვლასაც ვერა ბედავდნენ. რამდენჯერმე ვსცადე, მინდოდა მაღალის ხმით სიმღერა დამეწყო, მაგრამ მე ეს ვერ მოვახერხე . . . . . . ხანდისხან კი შორიდგან შეუჭყივლებდი სოლმე, მაგრამ აქაც არ იყოს, რომ—ჩვმს ხმას თავისი ძალა და რიხი სრულებით არა ჰქონდა. ბოლოს სამშვიდობოში რომ გადავედით, წვიმამ გადიღო. ღრუბლებმა დაიწყეს დაშლა და გაეშურნენ აღმოსავლეთისაკენ, თითქო სწრაფი ბრძანება მოსვლიათ კავკასიის მთებიდგან, რომ ეხლავ აქ შეიკრიბენითო. ცოტ-ცოტათი დაიწყო ცამ პირის გამოჩენა. გაახილეს თვალები ვარსკლავებმაც და, რაც უფრო მეტათ სასიხარულო იყო ჩვენთვის, მოგვესმა მეურმის ხმაურობა, რომელმაც სრულიად ჩაისვა ჩემი გული თავის უბეში. ეს ის დრო იყო, როდესაც ცაში ნათე-

ლი ჩავარდა და ტან-გაბანილმა [illegible] დაიწყო ნელ-ნელა მილიდგან გამორჩევა.

მშვენიერი რამ არის აგეთი დილა! მშვენიერია უფრო მაშინ, როდესაც გესმის შენ მისი ენა. სწორეთ, აუწერელი რამ არის ზაფხულის დილა, როდესაც სდგეხარ მაღლობ ადგილზედ და გაიყურები აღმოსავლეთისაკენ. როცა ხედავ, თუ როგორ ეშურება გამოეთხოვოს დღეს ღამე. ცოტ-ცოტათი, ქურდულათ აპარებს მაზე მთის წვერებს თავის სხივს და ადებს ცას ლოყის ძირში იმ ნიშანს, [ხალს, რომელიც დარჩება ხოლმე ახალ-გაზდა ქალს, შემდეგ საყვარლიდგან კოცნის მოპარვისა. ინძრევა, თვალებს იფშვნეტს, იღვიძებს ქვეყანა; იწყობენ ფრთხიალს, ფეხზედ წამოდგომას და ტკბილის ხმით მიგებებას ცხოველს მყოფელი მზისადმი ჩიტნი და გრიტნი. მომეტებულათ უფრო ბულბულის ხმა გაგიყებს ამ დროსა: შენ გგონია, ვითომც აი ამ ჭიკჭიკის ეშხმა, მისმა ძალამ დაბნიდა, მიაძინა ცაში ვარსკლავნიო და, თუ ორიოდენი კიდევ დარჩნენ, აგერ იმათაც მეტი ვეღარ გაუძლიათ, სთვლემენ და საცაა სრულებით დახუჭვენ თვალებსაო. მაგრამ აქ ყველაფერი დაგავიწყდებათ, თუ კი მოგესმით საიდგანმე მეურმის სიმღერის ხმა, სამსე იმ ნაღვლითა და მწუხარებით, რომლითაც ქშინამს მრთელი წარსული ჩვენი ცხოვრება და რომელიც ესე კარგათ გამოსატულია ქართველების ძველ სიმღერებში . . . .

## XIII

შინ იმ დროს მივედით, როდესაც დედა ჩემი გამოსული იყო გარეთ, იდგა დერეფანში, უყრიდა ქათმებს საკენკსა და თანაც ესაუბრებოდა მათ. ჩვენი სახლი წელში დაგახრილიყო გვერდზედ და ნაღვლიანი სახით გამოიყურებოდა. ეზო წმინდათ იყო მოკასკასებული, რომელზედაც იზმორებოდა, ახლად გამოღვიძებული, მურიკა. აი ამ მურიკამ გაიგო ყველაზედ უწინ ჩვენი ფეხის ხმაურობა, გამოექანა ჩვენკენ დიდი დავიდარაბით; მაგრამ შუა გზაზედვე გვიცნო, ვინც ვიყავით, და ამოუშვა კვნესა და წმუკუნი, თითქო იმას გვეხვეწებოდა — მაპატიეთ აგეთი ჩემი შეცდომაო. მურიკას ხმაურობაზედ მოიხედა დედამაც.

— უი, თქვენ კი გენაცვალოთ, შვილო, დედა თქვენი! სთქვა და გამოექანა ჩვენკენა. მოგვეხვია, დაგვკოცნა და, მომეტებულის სიხარულით, ატირდა.

გამოვიდა გარეთ ყავარჯენზედ დაბჯენილი ბებია-ჩემიც. დაგვკოცნა იმანაც და თან ზედ დააყოლა ჩვეულებრივი თვისი წუწუნი და მასთან ჩემზედ სამდურავი:

— რა იყო, რომ ამ ღამით არ გევლო და ეგრე არ მოგეკლა შენი თავი და უფრო ეს პატარა შენი ძმა. რატომ არ გეშინიან, შვილო! განა არ იცი, რომ ათასი მავნე და ავი სული დაიარება ამისთანა ღამეშია?! მამა-შენმაც ეგრე იცოდა. იმისგანაც ეგრე გულები გვქონდა გახეთქილი ყოველთვისა და შენ მაინც მოერიდე. ვინ იცის, განა მუდამ ასცდები ფათერაკსა რა! . . . ნათქვამია, ყოველთვის კოკა წყალს ვერ ზიდავსო.

ჩვენი მისვლით ყველა გამხიარულდა, თვით ბებია-ჩემიც კი გახარებული სახით დაიარებოდა, თუმცა თავის წუწუნს არა შლიდა. მერცხლებმა ხომ, რომელნიც ჩვენ სახლში ბუდობდ-ნენ, აიკლეს იქაურობა თავის ჭიკჭიკით. მათი ენა არ დამდ-გარა, თითქო ამხიარულებდნენ დედა-ჩემს და ულოცავდნენ მას შვილების მისვლას. უბანმაც მაშინვე შეიტყო ჩვენი მისვ-ლის ამბავი. ერთი კი შესძახა ჩვენებიაანთ ფეფელამ: გიორგი და სოსო მოვიდნენო და მაშინვე ყველამ გაიგო. მოდგნენ ღობესთან უბნის დედა-კაცები და იქიდგან მოულოცეს დედა-ჩემს შვილების მშვიდობით ნახვა. ამასთან უკიჟინეს კიდეცა:

— გიორგის ახლა კი კარგა ბარაქიანათ შამოჰხვევია წვერ-ულვაში და ახლი სატოლო კაცკაცი გამხდარა. აბაჲ შენ იცი ახლა, როგორც მალე მოჰგვრი პატარძალს და დაახმაურებინებთ ეზოურეს.

ყველა ამას წმინდა გულით ეუბნებოდნენ იგინი დედა-ჩემს და ის კი არ იცოდნენ, თუ თვით გიორგის გულში რა ცეცხლი ტრიალებდა, რომ მას ჯერეთ არც სცხელოდა მათი პატარძლისათვის.

დედა-ჩემს პირველად არა სჯეროდა, რომ მე რუსეთში უნდა წავსულიყავ, მას ხუმრობათ მიაჩნდა ეს. როცა კი და-რწმუნდა, მაშინ მითხრა:

— რა ვქნა, შვილო, თუ ხედავ, რომ შენი საქმე კარგათ წავა, წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ძალით მე ვერ და-გიჭერ შენ აქა.

ბებიაჩემმა კი თავი მოიკლა ამაზედ:

— რას ამბობ, შვილო, მეუბნებოდა იგი ბაბანით და კანკა-ლით. უწინამც დღე მე გამიქრეს, ვინამ აქედგან გამგზავრე-ბულს დაგინახავდე. რას ამბობ! იქნება შენ არ იცოდე, რა

საშიშარი რამ არის რუსეთის გზა და ან კი საიდგან გეცო-
დინება, შენ ჯერეთ უმაწვილი ხარ ისევ და ფეხი არსაით გა-
დაგიდგამს. მე გეტყვი, შვილო, აბა ყური კარგა დამიგდე.
ქიტუაანთ ბასილა ერთგული კაცი იყო, იმას ქვეყანა ნანახი
ჰქონდა. ბატონის ერთგული და საყვარელი ყმა იყო. ამიტომ
დიდმა ბატონმა თავის შვილ სიკოს გააყოლა თანა, როცა ის
რუსეთში გაგზავნა. ჰო ის ბასილა იტყოდა ხოლმე, რომ ჩვენ
წითელ ზღვამდინ კი, როგორც იყო, მივახწიეთ, მაგრამ იქით
წასვლა ველარ გავბედეთ და უკან მოვბრუნდითო. ჩემი ბა-
ტონის შვილი ზღვის ნაპირას იდგაო და იქიდგან თვალი მო-
ჰკრა ერთ უშველებელ გველეშაპისთვის, რომელიც ხანდის-ხან
თავს ამოჰყოფდა წყლიდგან და თვალებს გვიბრიალებდაო.
შაეშინდა ამაზედ უმაწვილსა და მითხრა: «მოდი, უკან დავბრუნ-
დეთ, თორემ ისეთ რჯულ ძაღლს რამესა ჰგავს ესა, რომ,
თუ აქ არა დაგვმართა რა, უთუოთ უკან აგვედევნება და შიგ
შუა ზღვაში ჩაგვლუპავსო“. ბასილასაც, რასაკვირველია, ხელი
მოემართა და გამობრუნებულიყვნენ. როცა შინ მოვიდნენ,
ძრიელ დაუმადლა ამაზე დიდმა ბატონმა ბასილას, რომ შვი-
ლი შინ მშვიდობით მოჰგვარა, და ხალათიც აჩუქა ამის გუ-
ლისათვის. აი, შვილო, მცოდნე კაცები რას იტყვიან ხოლმე
იმ სავერანო ადგილზედ და შენ როგორ უნდა გაბედო აგე-
თი საშიშარი გზის გადგომა?!

ბებია ჩემს ეს ამბავი ნამდვილათ ჰქონდა გაგონილი და,
როგორც ძველი ადამიანი, სჯეროდა კიდეც. რომ გული
დამემშვიდებინა, მე ვუთხარ მას პასუხათ:

— ის გველეშაპი დიდი ხანია რაც მოუკლავთ, ჩემო ბებიავ!
მართლა და დიდი რამ კი ყოფილიყო. ისეთი დიდი, რომ

იმის სისხლით შეღებულიყო მრთელი ზღვა, და აი ამიტომაც ეძახიან ხოლმე იმ ზღვას წითელ ზღვასა.

თქმით კი, როგორც იყო ვთქვი, მაგრამ მერე მევე შემრცხვა ჩემი თავისა აგეთი სიცრუის წამოროშვისთვის და ვერც არას გავხდი მე ამ პასუხით: ბებია-ჩემი მაინც ვერ დავაჯერე ვერაფერში.

მე მყავანდა ერთი ბიძა — დედის ძმა, და ერთიც სიძე. ამათ ორთავეს მე ძრიელ ვუყვარდით. ბიძა ჩემი იყო მონასტერში აღზრდილი, მამასთან, ჩემი სიძე ძველებური სემინარიელი. ორივენი მღვდლათ იყვნენ და ერთ-ნაირი მოხერხებული კაცები — სიტყვით, თუ საქმეში. ბიძა ჩემი ძრიელ წვრილ-შვილი იყო და მრევლიც ვერას უზამდა მას, რომ თავის ხელით არ ეცოდვილა და არ აეშენებინა ცოლ-შვილისთვის სახლი, არ დაედგა მათთვის ბინადრობა. დურგლობა და კალატოზობა მან მშვენივრათ იცოდა. ზამთარში სულ დურგლობდა, სხვა დროს კი, როცა საქმე არ ჰქონდა მრევლში, ეჭირა ხელში ქაფჩა და კალატოზობდა. საკუთარ თავის ხელით ჰქონდა მას გაკეთებული თვისი ორ ეტაჟიანი სახლი. სხვასაც შველოდა ხოლმე და ამაობაში თავი-თავს უყრიდა თითო-ოროლა გროშსა. ჩემი სიძე კი ალებ-მიცემის კაცი იყო. მას ჰქონდა გირაოთ აღებული ვენახები, სახნავი მიწები და კარგათაც რჩებოდა მათ. მე იმედი ამ ორ კაცზედ მქონდა, რომ იგინი შემიწყობდნენ ხელსა და მომცემდნენ საგზაოთ ფულს. ჩემი იმედი აღსრულდა. ერთმა მომცა ხუთი, მეორემ ოთხი თუმანი. იქნება მომეტებულიც მოეცათ, რომ ქესატათ არა ყოფილიყვნენ იმ დროსა, როგორც თითონაც მოიჩივლეს. ესრეთ საგზაოთ შემიდგა მე ცხრა თუმანი, რაც იმ დროს მე ცხრა მილიონათ მიმაჩნდა.

როცა გაიგო ბებია ჩემმა ეს ამბავი, რომ მავან და მავნებს ფული მიუციათ გიორგისთვისაო, თავი მოიკლა და ამოილო ერთიცა და მეორეც წყევლითა და ქოლვით. მერე მივარდა საცოდავ დედა-ჩემსა და სიცოცხლე ჩაუმწარა.

— რას გახუმრებულხარ, ადამიანო! ეუბნებოდა მას იგი გაჯავრებით. . . . რატომ არას იტყვი რომ შვილსა გბირავენ და სასიკვდილო გზაზედ აყენებენ! რატომ არ მისდგები საითმე და არ იტყვი, თუ რათ გვიშვრებიან ჩვენ ამისთანა საქმესა! განა აღარსად არის ქვეყანაზედ სამართალი! ადექ ესლავე, გასწი ქალაქისკენ, შედი არქიელთან, მუხლებზედ მოეხვიე და ნუ დაჰკარგავ ამ მზათ გამოზრდილ შვილსა. რაო!!... გეთაკილება ქალაქში ჩასვლა და არქიელთან სათხოვნელათ შესვლა?!... უი შენს მეწყებს!... შენისთანა ვიყავი არა, რომ შუა ზამთარში, როცა კოჭებამდი თოვლი იდვა, ფეხთ-შიშველა ჩავვარდი ქალაქსა და ხელიდგან გამოვგლიჯე მაგის მამა ერთ ვილაცა რუსს, რომელსაც მაგრე შეეგულიანებინა და თან წაყვანას უპირებდა. ნეტამც იყოს ის დღე. . . . უი, შვილო, რათ ხარ შენ გამიწყრებული და შენი აღრენილი დედა კი მოესწრო ამ ამბავსაც, რომ შენს სიყრმის შვილს გიორგის სასიკვდილო გზაზედ აყენებენ და მშველელი არ ვინა ჰყავს. . .

— მერე, განა მადრიელი იყო მაგისათვის მამა-ჩემი? გააწყვეტინე სიტყვა ბებია ჩემსა. განა სულ იმას არ გისაყვედურებდა ხოლმე, რომ შენ ამაშორე თავიდგან ბედნიერებაო?!...

— კაი ბედნიერება კი დაემართებოდა, რომ უდროვო-დროთ ეგ ნაეკლა თავი. აქ რომ დარჩა, ხომ იცოცხლა და თავის სასახელოთ აი თქვენი თავი დასტოვა. მანამ ცოცხალი იყო, ხომ ხარობდა მაინცა თვისი ცოლ-შვილითა და თუ ღმერთმა იმოტელა დრო არ მისცა, რომ თქვენი თავი დაბინავებული

ქნასა და ჩემი ცოდვით დამძიმებული ლეშიც მიწას მიეცეს თავის ხელით, რა ვუყო! კურთხეულ არს სახელი უფლისა...

— არ გახსოვს, ბები, გამოვუცვალე სიტყვა, ჯაშიტაშვილი რომ გვყვანდა დაპატიჟებული და გვე ამაგ ტახტზე რომ სადილსა სჭამდნენ, რომელზედაც ეხლა შენა ზიხარ? გახსოვს, ჯაშიტაშვილმა რომ ერთი აქია ჩამოუგდო მამა-ჩემსა და მერე უთხრა:

„—გინდა, კაცო, რომ გაბლერილ გიქოს სიმდიდრე შენი იყოსო?

— ღმერთმა შეარცხვინოს ისიცა და იმის სიმდიდრის შემნატრელიცაო, უპასუხა ამაზედ მამა ჩემმა. თუ მკითხავ — მე უფრო გაცილებით ვჯობივარ მას სიმდიდრითაც და სხვა ფრივ სიკეთითაცაო. ორი ისეთი შვილი მეზრდება, რომლებიდგან ამ ქვეყანაზედაც სახელი დამრჩება და იმ საიქიოსკენ კიდე წინ ცხოვნება წამიძღვებაო. და აბა ამას რომელი უნდა შეადაროსო!...“

— მე მამა ჩემი ძრიელ მიყვარდა და იმისი სურვილი უთუოთ უნდა აღვასრულო. თუ აქ დავრჩი, მაშინ ფუჭათ ჩაივლის მამი ჩვენის ჩვენზედ იმედი: მეც აქ სისასწულე ჩამიგდებს თავის კლანჭებში და ეს იმის სულს იქ შეაწუხებს. როცა რუსეთიდგან მოვალ, მაშინ კი სულ სხვა გიქნები. შენ გზა დამილოცე, ჩემო ბებილო, წავალ, ერთი ოთხი-ოდე წელიწადს კიდე ვისწავლი და მერე კი პირ-ნათლათ შამეძლება შავხედო მამა-ჩემს იმ საიქიოს. ან კი რათ გინდივართ, რომ აქ გეჯდეთ ასეთი უხეირო შვილი?

— დიახ, უხეირო! გაიმეორა მეორე კუნჭულიდგან დედაჩემმა. მაგისთანა უხეიროს ქვეყანა ზედ დანატრის. მაგრამ ჩვენ რა გაგვეწყობა ახლა! მეტი რა ღონეა, უნდა მოვითმინოთ. გავსძლებთ შენს მოსვლამდი, შვილო, ხომ კარგი,—არა და,

მადლობა ღმერთსა! ნახა ერთი დაგითქვამს წასვლა, შენი-უკან დახევა აღარ შეიძლება. მე კარგათ ვიცი თქვენი თავ-წვერაობის ამბავი. მაგრამ ეს მაინც გახსოვდეს, რომ გაუ-ფრთხილდე შენ თავსა. მე ვიცი თქვენი ჯიშის ამბავიც. რამ დაბერა უდროვოთ, უბედური, მამა-შენი? იმან, რომ საქმეს, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, ზედ შემოანარცხებდა ხოლმე თავსა. აი იმანაც ჩასცხო იმას თავში და ადრეანათ მოაშორა თავის ობლებსა. გაუფრთხილდი, შვილო, შენს თავსა, დედა თავს შემოგევლოს. გახსოვდეს ყოველთვის შენი საცოდავი დედა, ძმა და ეს ბებერი ადამიანი. სთქვა ეს თუ არა, ვეღარ დაიმაგრა თავი, თუმცა კი ბევრსა ცდილობდა, და გადმოსც-ვივდა თვალებიდგან ცერის სიმსხო ცრემლები. გამიგონია, დე-და-კაცის ცრემლი—წყალიაო. არა მგონია, თუ სულის დაუწ-ყვლად შეიძლებოდეს ამის თქმა ცრემლებზედა: რომ მართლა წყალი იყოს დედა-კაცის ცრემლი, მაშ მე რათ დამეცნენ გულ-ზედ გამდნარ ტყვიასავით დედი-ჩემის ცრემლები? მაგრამ, — ნუ თუ მე მეჩვენენ იგინი იმ დროს იგეთ ცხარეთ და მდუ-ღარეთ?! ჰო, ეს ალბათ ასე უნდა ყოფილიყო. რის ნიშანნი იყვნენ ის ცრემლნი? ნუ თუ მის გულის მწუხარების? არა,— ეს ასე არ იქნებოდა,—დედის მწუხარე თვალებმა ცრემლი არც კი იციან. ის ცრემლები უფრო დაფარული სიხარულის გამომ-ხატველნი იყვნენ და მე კი ვერ მივხდი მაშინ ამასა. დედის გული მეტათ ამპარტავანი რამ არის, იმ დროს, როცა ხედავს შვილს ბედნიერ გზაზედ დამდგარსა. მაგრამ ყველა დედა ერთ-ნაირათ ვერ გამოხატავს ამასა—ზოგის გული ჩვილია, ზოგისა მაგარი. დედა-ჩემი ჩვილი გულის ადამიანი იყო...

## XIV

შინ დავრჩი ორ დღესა. კვირა დილით უნდა გამოვმგზავრებულიყავ თბილისისკენ. როგორც იყო, დარწმუნდა ბებია ჩემი, რომ ჩემი უკან დაწევა და წამოუსვლელობა მოუხერხებელი რამ საქმე იყო. ამიტომ მას შაბათ ღამეს არც კი დაუძინია. ჯერეთ ჩამოქნა კვირა ძლის სანთლები, დაუნთო შინ ხატებს და იქ შეავედრა ჩემი თავი. მერე გამოვიდა გარეთ, სულ დახუსხუსებდა ეზოში, ხან ერთი მხრისაკენ მივიდოდა, დაუჩოქებდა იმ ეკლესიას, რომელიც იმის გასწვრივ ეგულებოდა, მერე გამობრუნდებოდა მეორე კუთხისაკენ, იქაც დაუჩოქებდა ეკლესიას და ხელ აპყრილი სულ ამას ევედრებოდა: „თქვენ გაატანეთ ჩემ გიორგის თქვენი წყალობა. მფარველ და ნუგეშინის მცემელ ექმნეთ ამას იმ უცხო ადგილში — მშვიდობით მოაბრუნეთ თავის მამის სამყოფელზედა“-ო...

დედა-ჩემმა იმ ღამესვე გამიმზადა ყველაფერი, რაც კი რამ საჭირო იყო წამოსასვლელათ. დამირეცხა, დამიკერა და ისე გასუფთავებული ჩამიწყო ტანისამოსი ერთ პატარა ნაკუწების ბოღჩაში. ამ ბოღჩაშივე ჩადო მან ორი დიდი ხითვი თავ-გაჭრილი, თმასავით დაწნული ძაფი. ერთი ხითვი იყო შავი, მეორე თეთრი. თან ნემსებიც კი ჩააყოლა, აგეთი თადარიგით იცოდა ხოლმე მან ყოველთვის ჩემი გაგზავნა სასწავლებელში, რადგანაც კარგათ იცოდა, რომ სემინარიელს ნემსი და ძაფი აუცილებლათ დასჭირდებოდა, თუ ტანისამოსის დასაკერებლათ და თუ ქაღალდების შესაკერავათ. გარდა ამისა, ბოღჩაში ჩამიდო ექვსი წყვილი წინდა, ამათში სამი წყვილი მოთელილი იყო, ორი წყვილი — ჭრელი და ერთიც

სახიანი აბრეშუმისა, რომელიც ნათლის დედიდგანა მქონდა გამოგზავნილი. დამიკლა სამი დედალი, ერთი საგზაოთ და ორი თბილისში ჩამოსატანათ. პური იმ დღით გამომიცხო. შოთუბის მაგივრათ რგვალი პური დამიკრა, რადგანაც შოთი იმსხვრევა მალე გზაში და რგვალი პური კი შორამდის მის-დევს ადამიანს. ყველა ქსეები და მასთან ერთი ტიკჭორა ღვინო და ერთი ქილა კარაქიც, რომელიც ჩემს სიძეს გამოე-გზავნა, თვით მევე ჩავაწყე იმ ღამესვე ხურჯინში, პირი მოუ-კერ მას სასლართებით და მივსდგი ტასტის ბოლოს. მე გა-პირებდი დილით ადგომას, ადრეანათ გამოსვლას, რომ სი-გრილითვე პატა კაი მანძილი გამომეარა. დედა-ჩემმა დერე-ფანში გამიშალა ქვეშაგები და თითონაც თავი ჩემ ბალიშზედ მოდო და ისე მოატყუა თვალი.

სამზეური გაწითლებული იყო, როცა ცხენი მოიყვანეს, რომლითაც მე უნდა წამოვსულიყავ. მე ისე არაფრისა მეში-ნოდა, როგორც იმ წამისა, როდესაც უნდა მეთქვა უკანასკნე-ლი სიტყვა ჩემი დედისთვის, გამოვმშვიდობებულვიყავ მათ. დედა-ჩემი სულ-განაბული იყო, მაგრამ ეტყობოდა კი, რომ რაღაც ცეცხლი უტრიალებდა მას გულ-მუცელში. გადმომკ-რავდა ხოლმე მეც ის ცეცხლი, მწვავდა; მაგრამ, რადგანაც ერთხელა ვსთქვი, მოვიმაგრე ბოლომდი თავი.

— აბა, ახლა კი მშვიდობით, ვუთხარ მე ძალ-დატანებითი ხმით დედა-ჩემსა. ის მომეხვია, ჩამიკრა გულში, დამიკოცნა ტუჩები, თვალები, შუბლი, ყურები, ერთი სიტყვით რაც კი სახეზედ მიჩანდა, ყველაფერი და თანაც ცრემლები წამოსცვივდა.

— დაიცა, შვილო, ჯერ ამათ გამოეთხოვე, დაიძახა მეორე კუნჭულიდგან ბებია ჩემმა და მოავლო ხელი სატებს, უნდოდა მოე-ტანა ჩემთან და ისე ეკოცნინებინა მათთვის. მე არ დავაცალე მას,

რომ დაეძრა ხატები ადგილიდგან, მიველ თვით სახატეს წინ დავიჩოქე, გადვიწერე სარწმუნოებით სავსე პირჯვარი და გე-მთხვიე.

დავკოცნე ბებიაც, ძმაც, სიძეცა და დაც და მერე კი მოვათვრინდი ცხენს და მაგრად ამოვკარ ქუსლი, რომ მალე, მალე მომეშორებინა თვალი დედა-ჩემისთვის, რომლის ცრემ-ლები მე გულ-ღვიძლს მიშუშხავდნენ. გამოშორებით კი გამოვ-შორდი ჩემ სახლ-კარს, მაგრამ დალოცნებული სახლობა კი მაინც არ მშორდებოდნენ თვალიდგან. ყურებიდგან არ გამო-დიოდა მათი ხმა: მშვიდობით, მშვიდობით მოგიყვანოს ღმე-რთმა და ჩვენმა სალოცავმა, ჩვენო გიორგიო. მე ისიც მე-ჩვენებოდა, ვითომც მრთელი არე-მარე, რომლისათვისაც კი მე მქონდა შეჩვეული თვალი, სულ ჩემზედა ლაპარაკობდა. ყოველი ხე, თუ ტყე, ფრინველი თუ ოთხფეხი, ქვა დ კლდეც კი—ყველა თავს მიკრავდა, მეთხოვებოდა და თითქო იმასაც მეუბნებოდა:

— აბა, გიორგი, ვინძლო ასახელო შენი ქვეყანა და ჩვენც არ დაგვივიწყოო.

— მშვიდობით! ვეუბნებოდი მეც მათ ჩემ გულში. მაშ მე იქ მოვკვდე დ ნუღარც ეღირსოს ჩემ თვალებს თქენი ნახვა, თუ მე თქვენი თხოვნა არ ავასრულო, თუ მე თქვენ დაგივიწყოთ.

მაგრამ... ვინ იცის, იქნება კიდეც ვეღარა გნახოთ, და-ვატანე ზედა. იქნება ეს უკანასკნელი ნახვა იყოს და გამო-თხოვნაც. გამიელვა თავში ამ ჭაზრმა თუ არა, მაშინათვე გად-მოვხტი ცხენიდგან და სამი მუჭა მიწა ჩავიყარე ჯიბეში. ვსთქვი: წავიღებ თან ამ ჩემი ქვეყნის მიწას და უკანასკნელ ჟამს თვით მევე დავიყრი ამას ჩემ გულზედა მეთქი. ამიჩვილ-

და ახლა კი გული... მაგრამ მალე მივასწრე ჩემ თავს და შევტუქსე ამისათვის:

— ფუ! თუ არა გრცხვენიან — ვუთხარ მე მასა. რას ამობ მაგას? რას შვრები? განა მე იქ მოვკვდები? განა ველარ დავბრუნდები და ვერ დავსდგამ ფეხს ჩემს სამშობლოს ნიადაგზედ? არა, ეს არ შეიძლება! სამართალი აღარ ექნება მაშინ ღმერთსა, რომ ეს ასე მოსდეს. სხვა არა იყოს რა, დედაჩემის ცრემლი აღელვებს ქვეყანას!... არა! მე იქ არ მოვკვდები, მე ისევ უზნევრათ, ცოცხალი დავბრუნდები იქიდგან! გამაგრებდი ასე ჩემ თავსა, გულს ვიბრუნებდი; მაგრამ მიწა კი მაინც თან წავიღე და უკან გამობრუნებამდინაც ისე უფრთხილდებოდი, როგორც სინიდისსა და პატიოსნებას.

თბილისში იმ სალამოსვე ჩამოველ. ცხენი, როგორც იყო, გავატანე უკან და მე სემინარიაში შეველ. აქ დამხვდა ონისიმე და ორიც სხვა ამხანაგი: ერთი—მამაცაშვილი, მეორე—მოსიძე მამაცაშვილი ადგილს ქებდა, უნდოდა ერთ წელიწადს მასწავლებლად სადმე შესულიყო. მას ჰქონდა განძრახვა—ამ წელიწადში გადაენარჩუნებინა თითო ოროლა გროში და წლის შემდეგ რუსეთისკენ გამომგზავრებულიყო, უნივერსიტეტში შესასვლელად.

მოსიძეს ნათესავის შემწეობით ადგილს კარგს ამზადებდნენ სულის ნაწილში.

მეორე დღესვე მე და ონისიმემ ავიღეთ ჩემთვის ბილეთი და ფურგუნიც ვნახეთ, რომელიც ვლადიკავკაზს მიდიოდა. დავიჭირეთ ერთი კაცის ადგილი ოთხ მანეთათ. სამნივე ამხანაგები გამომყვნენ მე გამოსაცილებლათ. როცა ფურგუნი დაიძრა ადგილიდგან გამოსასვლელათ, ეს იყო სამხრობის დრო, ამოვედით ვერამდი, რომ მე არაფერი გამიგია. როცა მოვედით

თეთრ დუქანთან, აქ შეაყენა მეფურგუნემ ცხენები და ლოდინი დაუწყო ერთ უკან დარჩენილ მგზავრსა. ამით მე ძრიელ ვისარგებლე. გადმოვიღე მაშინვე ფურგუნიდგან სურჯინი და ვუთხარ:

— აბა, წამოდით, ძმებო, და ერთი გზა დამილოცეთ.

ფეხი შევდგით ცოტა ზემოთ, მინდვრიან ადგილზედ. და შემოვესხვივენით ამ სურჯინსა. ამოვიღეთ დედალი, რომელსაც ნაფერდლები გარეთა ჰქონდა გადმოყრილი, გავგლიჯე გამოვგლიჯეთ და დავიწყეთ ყბის მოქნევა. მოუსხენ ტიკჭორას პირი და, რადგანაც სტაქანი არა გვქონდა, პირს მივადებდით ხოლმე მასრასა და ისე ყლარწა-ყლურწით მივეძალებოდით წითელ ღვინოსა.

— ღმერთმა მშვიდობით გვაჩვენოს კიდევ ერთმანეთი, წამოსთქვა მამაცაშვილმა, შედო ფეხი დიდ ქვაზედ, დაიდო მუხლზედ ტიკჭორა და ისრე მიიცა პირს მასრა.

— ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეს, მშვიდობით გაგატარებინოს ოთხი წელიწადი და სახელოვანათ მოგაბრუნოს შენა ქვეყნისაკენ, — ადღეგრძელა მოსიმემ და მამაცაშვილსავით დალია ტიკჭორიდგან ღვინო.

ბოლოს მიაწოდეს ტიკჭორა ონისიმეს. მან გაათავა ჯერეთ ბარაქიანი ლუკმა, რომელიც ჰქონდა პირში, მოიწმინდა ტუჩები და სთქვა:

— იცით, რა გითხრათ, ბიჭებო?! ყური დამიგდეთ: ჯერეთ, ძმაო, არსად იყო დარვინი, რომელმაც ესე ააყაყანა თავიზედ მთელი ქვეყანა და არც იმისი პაპა, რომ ქართველ ხალხს ბრძოლათა ჰქონდა გამოხატული ქვეყნიური ცხოვრება. ამ ბრძოლაში, რაც უფრო აუცილებლათ საჭირო იყო, გამარჯვობასა ნატრობდნენ ჩვენში ერთი მეორეთათვის «გამარჯობა

შენი» ეუბნებოდა ქართველი ქართველს, შეხვედრის დროსა. «გამარჯობით გამყოფოს ღმერთმა!» ეუბნებოდა მას იგი გამოთხოვნის დროს. აგეთი სალამი, ვგონებ, არც ერთ ხალხს არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ ჩვენ ამას არც ჩავკვირვებივართ, არაფრათ ვაგდებთ, გვიწყებთ კიდეცა. «გამარჯობის» მაგიერ ესლა მშვიდობას ვეუბნებით ერთი მეორესა: დილა მშვიდობისა, შუადღე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მშვიდობით გვენახოს ერთმანეთი დ სხვ. ჩემის აზრით ეს იმაზე ნიშანია, რომ . . . სიმშვიდე, სიწყნარე, გაუნძრევლობა, განცხრომა . . . არის, ჩემო ძმებო. . . . რომ მოძრაობისა, მღვიძარეობისა, . . . მოსვენებისკენ, განცხრომისკენ, . . მივექცვით; გამარჯობის მაგივრათ, მშვიდობას ვნატრობთ ერთი მეორესთვის . . . ვინატრით ერთმანეთისთვის . . . „გამარჯობა“, რომელიც . . . საჭირო და სანატრელია. კეთილს გზაზედა სდგეხარ, ჩემო გიორგი, ჩემო კარგო ძმაო და მეგობარო, ღმერთმაც გაგიმარჯოს! ამ სიტყვაში ყველაფერია ნათქვამი, ყველა კეთილია გამოხატული. გაგვიმარჯოს ღმერთმა ჩვენც—ყველა ჩვენს კეთილსა და სასარგებლო განძრახვაში! განაძლიეროს მან ჩვენში ზეციური ცეცხლი, კაცური აზრი დ მისცეს მათ გამარჯვება!..

— გაგვიმარჯოს! გაგვიმარჯოს!! გაგვიმარჯოს!!! შევუყვირეთ ყველამ თითქმის ერთ ხმით და თანაც დავატანეთ: სიკვდილი ანუ კეთილ საქმეზე თავის დადებაო.

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.
—წარმოვსთქვით ყველამ ჩვენი-უკვდავი რუსთაველის სიტყვები, დავკოცნეთ ერთმანეთი და გამოვეთხოვეთ ესრე ერთმანეთსა.

## XV

ჯერეთ, სანამ ისევ არაგვის ხეობაში ვიყავი, არაფერათ მამაჩნდა, რომ ზურგს შევაქცევდი ჩემს ქვეყანას და რუსეთისკენ მივდიოდი. მთელი ჩემი ყურადღება მიიტაცეს იმ მკვლე-ბურძა შენობებმა, ბურჯებისა და გალავნების ნანგრევებმა, რომელნიც აქეთ-იქიდგან გამოიყურებოდნენ ჩათხრობილი სახით და გულ-საკლავად ამბავს მოუთხრობდნენ ადამიანს წარსულის დროებიდგან. სიამოვნებით გადავავლე თვალი კაიშაურის მინდორსაც და უფრო იმ ადგილს, სადაც გამზეჩები შაებათ ლერმონტოვისთვის ჰოვოზხაში და ისე აყტანათ მაღლა, ის გზა ეხლა სულ-ალებულია. წყალზედ გადასასვლელი გზა ეხლა ზემოთ არის აწეული. მთის ალმართს შეუდევს მშვენიერი, ტაშივით სწორე, გატკეცილი გზა.

დავადექით ჩვენც აი ამ გზა-ტკეცილსა, რომელსაც შეუმცნევრათ სულ მაღლა და მაღლა მივყავდით. მარცხენა მხრისკენ, სერებზედ მოჩანდნენ აქა-იქ სოფლები, რომლებიც ნასაფლაოებს უფრო ჰგვანდნენ შორიდგან, ვიდრე სოფლებს, ცოცხალი ადამიანის საცხოვრებელსა. ეს ასე იმისათვის უფრო მეჩვენა მე, რომ თვალი მქონდა შეჩვეული ჩვენი ბარე საქართველოს სოფლებისთვის, რომელნიც ვენახებში და ნიგვზის ხეებში არიან ხოლმე ჩამალულნი. ამ სოფლებში კი ხეც არ მოჩანდა, უბრალო რამ ხეცა. შევყურებდი და საკვირველებიდგან გამოვდიოდი.

— ნუ თუ აქაც შესაძლებელია ცხოვრება? ვამბობდი მე. ნუთუ აქ მცხოვრებთათვისაც სიცოცხლე სიცოცხლეს ეგვანება? და თუ აქაც შესაძლებელია ცხოვრება, თუ აქაც შეიძლება სი-

ცოცხლე იგრძნოს ადამიანმა, მაშ იქ, დაბლა — ჩემს მიწა წყალ-ში, სადაც უხვათ კალთა აქვს ჩაბერტყილი ქრისტე ღმერთისა, როგორი უნდა იყოს იქ ადამიანის სიცოცხლე? რათ არის აქაც სიღარიბე, კეთილ-ცხოვრებისა და გულ-უკვობის მაგიერ? რათა აქვს აქაც ეგრე ძირი გამდგარი სისაწყლეს, სიგლახაკეს, ვაებასა და მწუხარებას?...

რამდენათაც ზევითა და ზევით ვიწევდით, იმდენათ უფრო პაწაწინა რამეთ მეჩვენებოდა ჩემი თავი. მე, რომელსაც ქვეყნიერების ბატონს მეძახიან, შიში შემეპარა ტანში. ასე მეჩვენებოდა, რომ ამ შესაზარებელი თვალებით, ესე გულ-გასასვეთქავათ, მე მიბღვერიან აქეთ-იქითგან ეს თმა გათეთრებული, ყომს გადასხმული, არსეისათ ერთ ალაგს მსხდომნი და შორიდგან ერთმანეთთან ტკბილათ მოსაუბრენი, მდევებივით უშველებელი მთები მეთქი.

— რა უნდა ქნას აქ უმეცარმა კაცმა? ვკითხავდი ჩემ თავსა, ანუ რა უნდა ყოფილიყო აქ პირველ დროებში ადამიანი, როდესაც მე, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრებს, ეს საქმე მემართება? მოდი და სთქვი, რომ ბოკლი ტყუილსა ლაპარაკობსთქო! მოდი და გაამტყუნე შენ ისა, პირში ჩალა გამოავლე, რომ ბუნების სასიერებას არავითარი გავლენა არ ჰქონია კაცობრიობის ჭკვა-გონების ფესვის ადგმაში, მის რწმუნებაში თქო!

ვიყავ ასეთ ფიქრებში გართული, როდესაც დაუახლოვდით იმ ადგილს, სადაც ჯვარი დგას და რომელსაც რუსები „კრესტოვი გორას“ უძახიან. ამ გორას გარსა აქვს შემორტყმული გზა. ვსთქვი: მოდი, მინამ ფურგუნი გარს შემოუვლის, პირ და-პირ ავალ და ვნახავ იმ ჯვარსა და იქიდგან დავეშვები მეთქი. ვსთქვი და ავასრულე კიდეც. ავედ, გარს შემოუარე

ჯვარსა და აი რა ვნახე: ის ადგილი, სადაც ეს ჯვარი იდგა, იყო ქოჩორი იმ გადასავლისა, მიჯნა, რომელიცა ჰყოფდა თერგის ხეობას არაგვის ხეობიდგან. თერგის მხრივ ქვაზედ ეწერა რუსულად: „რუსეთი“, არაგვის მხრისკენ „საქართველო“. მე ტანში მოვსწყდი, როდესაც ეს სიტყვები წავიკითხე. ახლა კი ცხადათ წარმომიდგა — სად ვიყავ. რა ადგილზედ მედგა ფეხი. მაშინ, ჯერეთ ის არ ვიცოდი, რომ თერგის ხეობა-შიაც ქართველები სცხოვრობდნენ და ეს ადგილი მეგონა მარ-თალ მიჯნათ საქართველოსა და რუსეთს შუა. მივეყუდე ცო-ტა ხანს ამ ჯვარსა, პირი მოვიბრუნე არაგვის ხეობისკენ და თავი მივეც ფიქრსა.

— ახლა კი უნდა მართლათ გამოგეთხოვო, ჩემო ქვეყანავ, ვუთხარ მას ჩემ გულში. უნდა ახლა შენგან გადავიდე სხვა მიწა-წყალში, რომელიც, არ ვიცი, როგორ მიმიღებს, რა მა-სპინძლობას გამიწევს, სადაც ყველაფერი ჩემთვის სულ ნისლ-ში და ბურანშია გახვეული.

ვიდექ, გაშტერებული თვალით ვაცქერდებოდი მთის წვე-რებს, ღრუბლებს და უფრო იმ გუნჭულს ცისას, რომელიც სამხრეთ დასავლეთისკენ მოჩანდა და თითქო იმასაც ვესვეწე-ბოდი მათ, რომ გახსოვდეთ ჩემი თავი და არ დამივიწყოთ მეთქი. ვიდექ ესე ათ მინუტამდე, ვეალერსებოდი ამ ცასა და ღრუბელთა და უფრო იმ მიწა წყალს, რომელსაც ისინი მაღ-ლიდგან დაჰყურებდნენ. ვნატრობდი გულში, რომ ეს დრო პატა გაგრძელებულიყო. მახსოვს ჩემი პატარაობა, უფრო ის დილა, როცა, დათხოვნის შემდეგ, უნდა შამოვესვი მამა ჩემს ცხენს უკან და წავეყვანე შკოლაში. როგორც მაშინ ვიწექ ხოლმე ლოგინში სულ განაბული, ვიმძინარებდი ტყუილათ თავსა, რომ მალე არ ამაყენონ წასაყვანათ მეთქი, აი ეხლაც

იმისდა მსგავსათ, ყური მოვიყრუე და არ მინდოდა გამეგონა მახილი: წავიდეთ, წავიდეთო. მაგრამ დიდ-ხანს დარჩენაც არ შეიძლებოდა.

რომ დადგა ის წამიც, როცა პირი უნდა გამომებრუნებინა, ფეხის ჩლიქებზედ შევდექ, მინდოდა, პატა კიდევ იქით გადამეხედნა. ამასთან შევსძახე:

— მშვიდობით!

უნდა დამეთავებინა: „მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ", მაგრამ აქ მომაგონდა ონისიმეს სიტყვები და ენა მოვიკვნიტე.

დავაპირე მეთქვა:

— მაშ გამარჯვება, ჩემო ქვეყანავ! . . . ? შემდეგ თავი გავანებე „გამარჯვების" თქმასაც.

ბოლოს დავაპირე მეთქვა:

— ნახვამდის, მაშა, ჩემო ქვეყანავ!.. მაგრამ ეს სიტყვები კიდევ არ მომეწონა, ამათში ქართული გულის მოსასვედრი რამ ვერაფერი შევნიშნე. ამიტომ თავი გავანებე ამათაც საჩქაროთი.

გავჩერდი ერთ წამს კიდევ... მერე კი წამოვიძახე:

— იცოცხლე, ჩემო ქვეყანავ! შევსძახე მე ესა და თანაც მარჯვენა მკლავი მაღლა გავიშვირე, . . .

— იდღეგრძელე, ჩემო კარგო ქვეყანავ! დავაყოლე ზედვე და მერე კი გამოვბრუნდი უკან, ანთებული სახით, აღელვებული გულით.

არ გადმომიდგამს ათი ბიჯი, რომ შევდექ... მოვბრუნდი ისევ უკან და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ერთი კიდევ შევძახე:

— იცოცხლე, ჩემო ქვეყანავ, იცოცხლე სანუგეშოთ და თავ მოსაწონათ შენის შვილებისა, . . .

დავვარდი იქვე დედა-მიწას და სამჯერ ვაკოცე მას. გიჟისავით წამოვხტი და სირბილით დავეშვი მეორე მხარესკენ: კარგა ხანს, უკან არ მომიხედნია, თითქოსა და იმისი მშინებოდეს, რომ ხელი არ წამომდოს ვინმემ უკანიდგან და არ დამიჭიროს მეთქი. როცა კარგა დავიღალე, მერე კი შევდექი, სული ამოვითქვი და თუმცა არ მემღერებოდა, მაგრამ ძალა დავატანე ჩემ თავს და დავიწყე „მთვარის“ ხმაზედ:

* * *

დაწყებით კი დავიწყე მე ის სიმღერა, მაგრამ ბოლომდი გატანა ვეღარ შევძელი. შევნიშნე, რომ ჩემი სიმღერა ტირილათ გამოდიოდა და თავი გავანებე. მაშინ მე ეს კი წარმოვსთქვი, ჩვენს ბარათაშვილთან:

„გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავათ მღელვარი!
გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გადაიარე კლდენი და ღრენი,
გაჰსწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალი დღენი!...

## XVI

დავეშვით თერგის ხეობაზედ. თერგმა, მართლათაც და მოუსვენარმა, ყურები წაიღო. საშინლათა ბღაობდა, ყვიროდა,

და ბანს აძლევინებდა თავის ხმისათვის მრთელს არე-მარეს. მე ასე მეგონა, რომ მყინვარს ეხსუბება, უჯავრდება და კოშკებშიაც იმისთვის სწყდება და უღირღნის, რომ რათ ხარ შენ მაგეთი უგულო, უგრძნობელი, რატომ ხმას არ ამოიღებ ქვეყნის ვაე-ბაზედ, მაშინ როდესაც ყველაზედ მაღლა შენ აგიწევია თავი და ყველაზედაც მომეტებულს შენ უნდა ხედავდე — თუ რა ულმერთოება ტრიალებს ამ ცოდვიდგან დამძიმებულს დედა-მიწის ზურგზედა... მისდოდა შორიდგან მაინც დამენახა — რა სახისა იყო ეს თერგის გულზედ მომყვანი, მის გამცოფია-ნებელი მყინვარი, რომელსაც ახლოდგან მიუკარებლობასა სწა-მებენ, მაგრამ მე ეს ვერა და ვერ მოვახერხე. იმ დროს მყინ-ვარის გარსა ჰქონდა, შემორტყმული ღრუბლები, აცს ეგო-ნებოდა, ვითომც თერგის ჯავრობა ახლა კი ასრულიყოს მის ყურებამდე, ვითომც ახლა კი სირცხვილი სწვავდეს მას და იმისთვისაც პირზედ ხელს იფარებს. მაგრამ მყინვარს, რომელიც ცას თავისთან დაუახლოვებია, აუმაღლებია, რომლი-სათვის ჩაუცმევია სპეტაკი სამოსელი, არა მგონია, რომ ჰქო-ნოდეს შესარცხვენი რამ წინაშე ქვეყნისა. და თუ ღრუბლები გარს შემოეხვია—ეს იმისთვის, რომ ანგარიშსა სთხოვდა მა-თა, თუ სად დახარჯეთ თქვენ მავან-და-მავან ღვთის გამო-გზავნილი წვიმაო. აგეთი თანამდებობა მას თვით ციდგან აქვს ჩაბარებული...

ჩავედით ვლადიკავკაზში. გამოვგზავნე იქიდგან დედასთან წერილი კარგათ მოგზაურობაზედ. დავსწერე შემდეგი ორიო-დე სიტყვა ონისიმესთანაც:

თუმც მოქრუშით წამოსულმა
გზაზედ მოვიფახეო;

მაგრამ მაინც თვალ წინ მედგა
ჩემი ტურფის სახე.

*
* *

უნახველი ბევრი ვნახე,
მთებიც გადმოვლახე
და მათი აღბეჭდილება
ღრმათ გულს ჩავისახე.

*
* *

დღეს პირველად განვიხილე
რუსთ ქალაქის სახე,
სასვალიოთ ზღვა მიძახის:
„მოდი, ჩქარა მნახე.“

შენი გიორგი.

ვლადიკავკაზში ვნახე ერთი ვაჭარი სომეხი, რომელიც მაკარიაზედ მიდიოდა. იმან დამარწმუნა, რომ კასპიის ზღვით, ვოლგით და ნიჟნიდგან კიდე რკინის გზით უფრო სახერხოა და საადვილოც, ვიდრე მეორე გზით, ე. ი. როსტოვზე წასვლაო. თუმცა შორსა სჭრიდა გზა, მაგრამ იმ ანდაზის მალამ, რომ, შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო; თავი გამანებებინა წინანდელი განძრახვისათვის და გავყევ მას პეტროვსკისკენ. ვსთქვი: ეს კაცი გამოცდილი, ნატარი კაცია, ამასთან მე არაფერი მიშავს რა, სხვა არა იყოს რა, ხმის გამცემელათ მაინც გამომადგება ამ უცხო ადგილში, უვალს გზაში მეთქი.

მეორე დღეს პეტროვსკში ჩავედით. ჩავსხედით ერთ ბაქოდგან წამოსულ გემში, რომელსაც „მასხ“ უძახოდნენ სახე-

ლათ, ავედით აშტრახანში. აქ დავრჩით ერთი მთელი დღე და მერეს მდინარე ვოლგით გავსწიეთ ზევითა. თუ რა სიჩქარით ამოვყოფდით ხოლმე თავს ერთი ქალაქიდგან მეორეში, ამას მე თითქმის ვერც კი ვნიშნავდი. ეს იმისათვის უფრო მეჩვენებოდა ასე, რომ ახლა კი მაგრა ჩაჭკიდეს თვისი კლანჭები ჩემს ტვინს ათ-ას ნაირმა მაშფოთარმა ფიქრებმა. ხან-და-ხან კი ოცნება გამიტაცებდა ხოლმე, შემიყვანდა თავის ფერით და განუსაზღვრელ საბრძანებელში, დამყვანდი მასში თავისუფლათ და წინ მიშლიდა ფერად-ფერად სურათებსა. აი წარმომიდგა მე, რომ ვითომც შეველ კიდეც იმ ქალაქში, რომლისაკენაც პირი მქონდა მიქცეული, რომ დავიჭირე კიდეც ეგზამენის და მიმიღეს აკადემიაში. მეჩვენებოდა, რომ მე აი ვიწერები კიდეც წერილებს ჩემს ქვეყანაში და შიგა ვიღებ ამ — ყველასათვის სასიამოვნო და უფრო დედა-ჩემისთვის სასიხარულო ამბავსა...

ოცნებას უფრო იქით მივყავდი. ჩემს თვალ-წინ დგებოდა ის სიცოცხლით სავსე და იდეალური ახალ-გაზდობა, რომელშიაც მე უნდა შევრეულიყავ. მეჩვენებოდა, რომ ის ახალ-გაზდობა ელტოდა ახალ მიზანს, გაღვიძებული ღვთიური ცე-ცხლით სავსე იყო მისი გული და დღე და ღამ ქქებდა, ამზადებ-და იმ . . . , რომელსაც კი შეუძლიან ვაების და ჭირის შემცირება ქვეყნიერებაზედ და ლხინის მომატება დაჩაგრულ ადამიანისთვის. დაუცხრომლათ ფიქრობდა იგი ბოროტების მოსპობაზედ, უმეცრების დაბლა დაცემაზედ, სიმართლისა და ჭეშმარიტების მოფენაზედ, . . . მე მესატებოდა თვალ-წინ პრო-ფესორიც, რომელიც იჯდა კათედრაზედ და რომლის ენი-დაც ლაპარაკობდა თვით სიბრძნე, მეცნიერება, ჭეშმარიტება. აი გაათავა მან ლექცია. გამოვედით გარეთ სტუდენტები და სალაპარაკოთ გვსდა პროფესორისგან ნალაპარაკევი. ზოგნი,

თითქოს კარგათ ვერ გაუგიათ მისი ჭაზრებიო, თანახმანი არ არიან პროფესორთან. ზოგნი კი მათ წინააღმდეგობას უცხადებენ. ასტყდა ამაზედ ბაასი. მე ჯერ ხანობით არას ვამბობ, თუმცა კი თქმა მეც მინდა რაღაცისა. ვარ გაჩუმებული და ყურს უგდებ ყოველ მათ ცეცხლით სავსე და მახვილი ენით გამოთქმულ სიტყვას. ვუცდი—აცა რომელი უფრო უკეთესათ დაამტკიცებს თავის ჭაზრსა და თანაც ყურს ვადევნებ, თუ რომელი რა ცოდნის პატრონია, აი ეძლება ბოლო ამ ლაპარაკს. გამოიკვლიეს ყოველ მხრით სალაპარაკო საგანი. დამარცხებულს ღიმილი მოსდის ტუჩებზედ და იმავ ღიმილით ეუბნება თავის დამმარცხებელს—კარგი, შენ მართალი ხარო და თითსაც იკაკ-პავს. მე სიცოცხლეს მიმატებს აგეთ ცხოვრებაში ჩავარდნა, ბედნიერათ ვგრძნობ ჩემ თავსა, ედემის შუა გულში მგონია ჩემი თავი. ვიწერები წრილებს სემინარიაში, ვიწვევ ყველას იქით, ამ სიტკბოების ტაძრისკენ, ამ უკვდავების წყაროს დასაწაფებლათ . . .

ამასაც არ მაჯერებს ოცნება!... მას უფრო იქით მივყევარ.

წარმომიდგა, რომ აი კურსიც შევასრულე და გახარებული გულით ვბრუნდები მე ჩემი ქვეყნისკენ. მიდგება თვალწინ ის სიხარული, რომლითაც აივსება გული საცოდავი დედი-ჩემისა, რომელიც მე გამოთხოვნის დროს თვალ-ცრემლიანი დავტოვე. მესახება ისიც, როგორი სიხარულით მეგებებიან ჩემი ნაცნობები, ამხანაგები, როგორც ხელს მართმევს, თავისკენ მივყევარ მე ჩვენ პატიოსან — მუშა და დაწინაურებულ ახალ-გაზდობას. მეც თამამათ ვართმევ ყველას ხელს, სწორეთ ვუყურებ თვალებში თვითოეულს მათგანს, რადგანაც ვხედავ, რომ

მეცნიერების ჩაჩქანი მსურავს,
ტანზედ მაცვია მისი აბჯარი,
მარტო რაშს უცდი, თორემ ხელთა მაქვს
ფარ-ხმალ ისარიც მეტად მაგარი!....

ახლა კი გეყოფათ, მითხრა ოცნებამ, მკრა წიხლი და ისე გამაგდო თავის საბრძანებლიდგან. მე ჯერედ თვალებზედ ხელი მოვისვი, თითქო—მძინებოდეს, მერე კი მეც გამეცინა ჩემს თავზედ. ვსთქვი: ეშმაკებს ღვინო არსად ჰქონდათ—ტიკებს პირს ულბობდნენ,—ამისა არ იყოს, სად მისვალ, რაზედ ჰფიქრობ, შე ოხერო ჩემო თავო! ჯერეთ მიგიღეს კი, რომ შენ კურსი შეასრულე კიდეც!! ანუ, იცი კი, რომ მიგიღებენ?!....

მართლა, რა მეშველება, რომ ვერ დავიჭირო ეგზემენია? ვკითხე ჩემ თავს და გადამკრა სახეზედ მამაკვდავივით სვიმშა საით წავიდე მე მაშინ? როგორღა გამოვბრუნდე უკან ესე შერცხვენილი და თავ-მოჭრილი? როგორ დავენახო ჩემს ქვეყანას? როგორ ვაჩვენო პირი ჩემს ნაცნობთ, მონათესავეთ? ამ კითხვებმა მე თავისა დამმართეს. ჩამომაცალეს პირიდგან სისხლი, დამიწყეს უდიერი ტანჯვა, ააგლიჯეს ჩემს თვალებს ძილი და ყოვლის სიცოცხლის ნიშნებსაც დამიკარგვიდნენ, რომ აგეთ ყოფაში იმედს სრულიად განვეწირე და ხან-და-ხან არ მოვესულიერებინე. პატარა რამ იყო ეს იმედი, მაგრამ მაინც იგი იყო ჩემი მანუგეშებელი, ის მიბრუნებდა სიცოცხლეს. არ ვიცი, რა დაემართებოდა ადამიანს ამ ქვეყნიერობაზედ, რომ ეს ცხოველს მყოფელი იმედი მას თან არ დაჰყოლოდა! რა უნდა ყოფილიყო კაცისთვის უიმედო სიცოცხლე?!

განა შესაძლებელი იქნებოდა მაშინ სულის განძრევა, რაიმე კეთილისკენ ლტოლვა? *)

† მიხეილ იოსებისძე ასათიანი.

---

*) ამით თავდება პირველი ნაწილი ამ მოთხრობისა. მეორე ნაწილში განსვენებულ ავტორსა სურდა გამოეხატნა ჩვენებური ახალგაზდობის ცხოვრება რუსეთში, მისი ტანჯვითა და სიხარულით, მისი საქმეებით და წადილებით,—მეტადრე შესანიშნავი და ძვირფასი რამ არის თითონ გიორგის წერილები სამშობლოში მეგობრებთან. მესამე ნაწილით ავტორს უნდოდა აეწერა უიმედო, უფერული და დაცემული მდგომარეობა სამღვდელოებისა, სადაც ონისიმემ წაყო თავი.—ისა, თუ რამდენი ცუდი თვისებანი არიან აღზრდილნი ამ წოდებაში, როგორ პირსა აქვს მათ შორის პატივი და დიდება,—რას ჩაიდენენ ბლაღოჩინები, როგორა ზდევნიან ნამუსიან და ნასწავლ ამხანაგებს და ათ-ასი «დანოსებით», ენის ლაქლაქითა ჰღუპავენ მათ, რომ ასეთი პირნი არ გადუდგებოდნენ ხოლმე გზაში და არ უშლიდნენ ქვეყნის გაცარცვას და გარყვნას. ამ დასში, რასაკვირველია, ყველაზედ ძლიერა ხვდებოდა იმ არხიმაშენიკს, რომელიც დაუძინებელი მოსისხლე მტერი იყო ავტორისა, ამ თავ-განწირული და პატიოსნებით სავსე მოქმედი კაცისა და რომელზედაც განსვენებულ მ. ასათიანს დარჩა ლექსი ასეთი დასაწყისით:

«ღრიალაზე სახლი მიდგა,
ვარ ცნობილი ბლაღოჩინი;
ყველგან ვამბობ: მე გახლავართ
იმერეთის თვალის ჩინი» და სხვანი.

უნდა აღეწერა ის ჯოჯოხეთი, რომელსაც შემოახვევენ ხოლმე თავზედ პატიოსან მოქმედ კაცს ათ-ასი კლიაუზნიკები და მაშენიკები. უნდოდა დაეხატა ის ტრაგიკული სურათი, რომელშიაც თითონ ავტორი ჩავარდა სასწავლებლის ზედამხედველობით, უნდოდა თავზე ლაფი დაესხა გაზეთი «დროების» ბრიყვი, უგუნური და დამნაშაური მიდგომილობისთვის ასათიანის მტრებისადმი; მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა, და ამაებიდგან დარჩა მხოლოდ შენიშვნები, თითო-ოროლა ადგილები.

რედ.

# ჭკიპარტი.

რით არა ვარ დიდი კაცი!?
თუმცა ცოდნით ვარ ნაკლები,
მაგრამ, როგორც ცხვრებში ვაცი,
ვარ თითითა საჩვენები.

—

დიახ, კაცი მე გახლავარ,
მალე მივხდი ქვეყნის მიზანს,
უადგილოთ არ დავდივარ,
კარგი საქმე ხელით მიჭირავს!

—

რაკი გავიცან ცხოვრება,
დავადექ მის ფართო გზასა,
უარ ვყავ ჭეშმარიტება,
არ მივხედე არ ვის სხვასა.

—

თავის კვრით და ზურგის დახრით
ვპოვე მცირედი ადგილი,
შევიძინე ქუდი კაკარდით
და შემექნა გზა გახსნილი!

—

მადლობის მოსახსენებლათ
უფროსთან ცოლი გავგზავნე,

მისი საუნჯე ფეშქაშათ
რიგისებრ თან გავატანე.

—

ჩემს იღბალზედ მალე მოკვდა
უფროსისა თანაშემწე,
მისი ადგილი მე შემხვდა,
რა უფროსი მყავდა შემწე.

—

ამასაც გაუწყრა ღმერთი —
რევიზორი თავს დაეცა.
გაუმჟღავნდა საქმე ერთი...
უფროსობა მე მამეცა.

—

შევიქენ მაზრის მმართველი,
მივეღწიე ჩემს მიზანსა:
ტან-წვრილი—გავსდი ტან-სქელი;
მითხარ, რაღა სჯობს ამასა?!

—

არ ველი ადგილს უმაღლესს,
ვერც მისწვდება ჩემი ტოლი,
ამას კი ვერ ვინ წამართმევს,
თუ მიცოცხლა ღმერთმა ცოლი.

—

ურქოს რქები გამომესხა,
ვიცი ისიც—ვის ურქინო,
თუ ვინმე ფული მასესხა —
ნახავს, რომ არ ვარ უტვინო!...

გემი.

# ხალხური ლექსი.

ერთი გლეხი ვარ საწყალი,
სხვა სოფელ მივალ დასთანა —
იქ პური უნდა ვიყიდო —
გამოვიკვებო ზამთარა.
შუა გზაზედ დამიღამდა,
შეველი მიკიტანთანა.
ერთსა ერქვა ასატურა,
მეორეს ერქვა ვართანა.
იმ ღამეს ისე დამიხვდნენ,
როგორც ძმა მივა ძმასთანა.
მეორე დღე რომ გათენდა,
ფიცხლავ წამოდგა ვართანა,
ამხანაგსა ხელი წაჰკრა
სომხურათ სიტყვა გათალა.
ადგა და ასატურამა
ნოტესა ხელი წაატანა,
გულმა ძაგ-ძაგი დამიწყო —
აქ რაღაც საქმე მამხდარა.
სალოკი თითი დაადო,
გააქან-გამოაქანა.

ხუთი მანათი წამართვეს,
ერთი აბაზი დამრჩალა,
ისიც მიკიტანს გადუგდე —
„მაგის წამლებიც გამქრალა!“...
ამისთ „ოტკა“ დამისხი,
აგები გამყვეს კართანა.
ჩოტკო, გაგიწყრეს გამკუთხი,
რომელმა ხელმაც გაგთალა,
აგასხა წინდის ჩხირზედა,
მიკიტნის დახლში გაგგზავნა!
დავსწყევლი,—აღარ გავივლი
ჩემს დღეში მიკიტანთანა—
ყოველი ჩვენი ცხოვრება
მიდის სულ გაჯარ ხალხთანა.

## ხალხური სიმღერა

მე რო ზარდაოს წაველი,
ხელში ავიღე შოლტია,
მეზობლებს გამოვეთხოვე,
ჩამოვატარე პროშტია.
მაჩხაანზე ჩავიარეთ,
წყალი იყო მეტათ ძვირი.
პატარძალსა წყალი ვთხოვე —
«წყალზედ არის ჩვენი ვირი»...
ჯიბეში ხელი ჩაიყო,
ამოიღო ლეღვის ჩირი:
„აჰა, უმაწვილო, მიირთვი,
ნახე, როგორია ტკბილი;
სანამ ვირი მოვიდოდეს,
ამით გაისველე პირი".
გაიცინა, გამიცინა,
დამანახვა თეთრი კბილი.
ჩუმჩუმათ ვეუბნებოდი:
«შამეყაროს შენი ჭირი».
ჩემი ჭირი შენ რათ გინდა,
საიდგან სარ, ვისი შვილი?
რომ წამოგყვე, სად წამიყვან,

საით უნდა მიყო პირი?»
—აგეთ ქვეყანას წაგიყვან,
ყვაოდეს ყოველი სილი—
ილი, მიხაკ-დარიჩინი.
წყალი ახლო ჩამოგივლის,
აღარ მოგინდება ვირი.
დაიძინე დილის ძილი!...

# მგზავრის შენიშვნები.

დიდიხანია გაგონილი მქონდა, რომ გორის მაზრაში, იპოვება ბევრ-ნაირი მინერალური წყლები, მარგანეცი, რკინა, ფოლადი, ქვა-ნახშირი, ნავთის წყაროები და სხვა. ბევრჯელ დავაპირე წასვლა, მაგრამ აქამდის ვერ შევისრულე ეს წადილი, თუმცა საძნელო კი არა იყო რა. ბოლოს, 14 აგვისტოს წარსულის წლისას, გავედ გორიდგან იმ მთის სანახავად, რომელსაც ქართველები უწოდებენ იალბუზის მთად.

ერთ ღამეს დავრჩი ს. ტყვიავს, სადაც ცხოვრობენ თავად-აზნაურნი, გლეხნი — სომეხნი და ქართველნი. სოფელი ძალიან მშვენიერია, მთლად ბაღებში სდგას და მის ორღობეები სულ გადაჩრდილულია ასე, რომ გამვლელი სულ ჩრდილში დადის. აქ შევიტყე ერთი სასიამოვნო ამბავი: აზნაურს იასე ფავლენიშვილს მთელი ახლო-მახლო სოფლები შიმშილიდგან დაუხსნია. რადგან შარშან-წინ, 1880 წელში, კალიამ წაახდინა მოსავალი, გლეხობა ძალიან ნაკლებათ იყო წლის სარჩოზე. ფავლენიშვილი კარგი შეძლებული კაცია მამულ-ადგილით. გაუხსნია თავისი სიმინდის ძარები და სულსისთვის დაურიგებია. მითხრეს, რომ გლეხობა იდგა, თვითონ სცეხვამდა და მიჰქონდათ. ჩვენს საძაგელ და ცუდ დროში, ეს საკვირველ მოვლენად ჩაითვლება, მეტადრე როდესაც სიმინდი —კოდი ოთხ-ხუთ მანათათ იყიდებოდა; მართალია, გლეხებ-

მა ისევ დაუბრუნეს სიმინდი, მაგრამ მიღების დროს ორ მანათათ აღარ ფასობდა კოდი. მაშასადამე, ფ—შვილს, კაცთმოყვარეობის გამო, უარ უყვია ფულის მოგება და რუსთველის ნათქვამზე გაუვლია: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭლისაო.“—აქვე, ტყვიავში, ვნახე, თუ როგორ იჭერენ პატარა ლიახვში თევზს, რომელსაც გემოთი სხვა მდინარეების თევზი არ შეედრება. ორი-სამი ბიჭი ჩადგება წყალში, ხელათ ყორეს გაავლებენ, ყორეზე გადააფარებენ ფარდაგებს და ისე მოსწყდება წყალი, თითქო კვლავ არც კი უდენია. უნდა ნახოთ მაშინ გუბეებში თევზის ჭყაპუნი, ხტუნვა რა სასიამოვნოა! თუ აქვე მოხარშავთ ამ თევზსა და მიირთმევთ, იცოცხლეთ, რომ აქ ლაზათს ნახავს კაცი!

მიუახლოვდით ცხინვალს, რომელიც აქედგან მისვალზე სასიამოვნო სანახავია: მთიდგან გადაჰხედავ, ცხინვალი ვენახებში და ბაღებშია გახვეული, თითქო თავს-შემოვლებას ეპირებსო; გვერდს, აღმოსავლეთიდგან გამოურბის შფოთიანი დიდი ლიახვი და ლენტივით ერტყმის ცხინვალს. რამდენადაც სასიამოვნო სანახავია ზემოდგან, იმდენათ უსიამოვნოა, როცა შიგ ჩახვალ—მირეულ-მორეულად აშენებული სახლები, დანგრეული ბოგირები, ოღრო-ჩოღრო ქუჩები. ხალხის ზნეობიდგან გაგაკვირვებს შუა-დღისას ხალხის ცარცვა, ოინბაზობა, ჯაგილვა. ამ დროს აქ მამასახლისის არჩევაზედ ჰქონდათ ლაპარაკი. აქ ისრე ძნელია სამამასახლისო კაცის არჩევა, როგორც ხანვარში საზამთროს მოყვანა. რასაკვირველია, იმისთანა პირი დარჩა მამასახლისათ, რომელიც ამას წინათ იყო არჩეული და რომელსაც ხალხის საჩივრით გუბერნატორმა წინათ მედალი ახსნა და აქამომდე იმისი კანდიდატი ასრულებდა საქ-

მეს. დაამტკიცებს ეხლა ამას გუბერნატორი თუ არა, ეს არა-ვინ იცის.

ცხინვალიდგან იწყობა სამაჩაბლო. მთელი სამაჩაბლოს სოფლები განთქმულნი არიან მოსავლით, ხე-ხილით, ჭაერით. ძველი ქართული გულ-კეთილობა კიდევ დარჩომილა აქა. ძველ ნაქალაქევში, ეხლა კი პატარა სოფელ თამარაშენში, სცხოვრობენ თ. მაჩაბლები. თამარაშენი ქალაქათ ყოფილა ვახუშტის დროსაც, რადგან ის იხსენიებს ქალაქად. აქ ვნახე ი. გ. მაჩაბელის ბაღში ძველი ქართული ზარბაზანი წმინდა სპილენძის, რომელსაც ზედ-აწერია სახელი თეიმურაზ II-ისა. ზარბაზანს ორი კაცი თამამათ წაიღებს, სადაც უნდა.

მე მივდიოდი იმ მთაში, რომელიც ეკუთვნის მაჩაბლებს—ბოროტიშვილებს. წამომყვნენ თან თითონ მამულის პატრონები, სოფელს გეზვ ზევით გზა იწყობა და ეტყობა ძველი ნახიდარი. ეხლა აქ ფიცრის ხიდია გაკეთებული. ს. მსხლებში დაგვიღამდა, ეს სოფელი მაღლობზეა გაშლილი. მცხოვრებლები ძალიან შორი-შორსა სდგანან ერთი მეორეზე. ყველას თავის მამული მოფარგლული აქვს წნულის ღობით. მცხოვრებლები სულ ოსები არიან. აქ ვიგრძენით ცოტა სიცივე, აქვე გვიამბეს მიწის ნძრევაზე, რომლის გამოც ეკლესიები დახეთქილიყვნენ და რომელსაც ხალხი ძიელ შეეშინებინა. საცოდავებს ჩამგონებელი არავინა ჰყავთ, რომ შიში გაუფანტოს. ჩვენ ვუამბეთ მიწის ძვრა რისგანაც ხდება, ოსებმა ყურადღება მოგვაპყრეს, სულ სმენად გარდაიქცნენ, მაგრამ, დაიჯერეს თუ არა, მაგისი კი რა მოგახსენოთ.

ს. მსხლებიდგან დასავლეთისკენ ჩახვალთ ხეობაში, სადაც ჩამოდის მდინარე კოდა, რომლის წყალიც ისე ცივია, რომ ერთს წამს ვერ გაუძლებს ადამიანის ხელი, არც ისე წმინ-

და და შემრგო, როგორც ლიახვისა. წყლის ძირში თეთრი კლდეა რიყიანი. მაღლა მთაზე სდგას სღვერცეკი. აქ სცხოვრობენ 45 კომლი ოსები. მარიამობისთვეში ბარად ჩოსავალი გლეხებს კარწინ აქვს მიზიდული, აქ კი დიკა, ქერი, და სხვა ამ გვარი ჭირნახული ჯერ ისევ ბალახივით იდგა. გაგონილი მქონდა, რომ ამ სოფელში ძველი დიდი ციხეა. იმის ნახვა მინდოდა, ამიტომ ავედი სოფელში, სადაც გავიგეთ, რომ მიწის ძვრას ეს ციხე დაეხეთქა, ალაგ-ალაგ ჩამონგრეულიყო. ეს ციხე ძველი შენობაა. ოსებს საცხოვრებელ ოთახებათ გადაუქცევიათ; მიწის ძვრის დროს, ზალდა, ოთხმოცი წლის დედა-კაცი, დაეტანა ცისეს, მაგრამ მოერჩინათ ცოცხალი და დერეფანში უწვათ ხელებ შეხვეული და თვალებ აკრული. ხალხი უფრო მდედრობითი სქესი, საკვირველად ლამაზია, ეშხიანი და ჭაეროვანი. ეტყობა, აქეთ საიდუმლო პოლიციას ჯერ ფეხი არ შეუდგამს, რომ ყველა ქალს სულ წითელი პერანგები აცვიათ. ხალხი ძიელ პურადია; ერთმა მოხუცებულმა, ხუტო თედეშვილმა გაგვიპატიჟა და საუცხოვოდ გაგვიმასპინძლდა. ხალხი ძალიან ჯან-მრთელია, ავად-მყოფობა იშვიათია, რადგან ბუნება ერთობ ლამაზი და საღია. სცხოვრობენ ყველანი თავ-თავის მამულში. ჩხუბი, ხოცვა ჯერ კიდევ მოდა არის ოსებში. ამ დღეებში ოთხი მოკლათ ხარნაგაში *). ამათში ქალები უფრო ბევრით მხნეები არიან მამა-კაცებზე: ისინი უვლიან სახლს, ქსოვენ თივთიკს, სცელავენ, ფოცხავენ. კაცები კი უფრო ლაზღანდარულს ცხოვრებას ატარებენ, მთელი დღე ან სძინავსთ, ან არა და დაუჭორავსთ არაყის და ლუდის ყანწი და ჯიუჯიუებენ. ყანწები ხისა აქვსთ და ისე ლამაზათ დათლილები, რომ გეგონებათ ბროლისა არიანო.

*) ხარნაგა—ქელეხსა ჰქვიან.

ს. ღვერცებიდგან შევუდექით მაღალ მთას, საიდგანაც გადმოხედვა ზარის დამცემია. მთლად ხეობები შემოსილნი არიან აყრილი მსხვილი ფიჭვის და ნაძვის ხეებით. გზის პი-რებზე ტყეში ხშირად ნახავთ მარიამობისთვეში ბალს, მარწყვს, ასე გაშინჯეთ, ტყემალსაც, მალინას და შავ სმოროდინას. ყვე-ლა ეს მცენარეები გაველურებულია. ბალი, ტყემალი ჯერ შე-მოუსვლელი იყო და საშინელი მწარე. მგზავრს არ მოსწყინ-დება აქ სიარული, რაც უნდა დიდი გზა გაიაროს, ამიტომ, რომ ათ-ას-ნაირი სანახავები დახვდება, ათას ნაირი გასარ-თობი საგნები, ათ-ას ნაირი ბუნების სიმშვენიერე. აქ დაი-ნახავთ—ჩხრიალით გამოდის წყალი, იქ ხედავთ, რომ მიწი-დგან შადრევანივით ბრილიანტის ფრად ამოჩუხჩუხებს წყარო, მშვენიერი წმინდა ანკარა და გასაოცრად ცივი. ბევრი ვინატრე თბილისის ქალაქისთვის, მაგრამ ჩემი ნატვრა ამაო დარჩა. თუმცა თბილისში რაც გამოსაყვანი წყაროებია, ის რომ ითა-ოს აქაურმა თვით-მმართველობამ და გამოიყვანოს, ისიც იკ-მარებდა, მეთქი, ხალხის ჯანმრთელობისათვის, ვსთქვი ჩემს გულში.

ზემო ხსენებულის მთიდგან ჩახვალთ ფაწის ხეობაში, რომელიც იქაურ ხეობებზედ მდიდარია. — ფაწა მდიდარია თევზით — ორაგულით და კალმახით. უკანასკნელი იმდენია, რომ კაცი ფეხს ვერ აუქცევს. ოსები იჭერენ ორაგულს შემ-დეგი იარაღით: გრძელი ჯოხია ორთითივით, რომელსაც ბო-ლოზე, თითებში გაყრილი აქვს გალესილი დანებივით, ამითი სჩრიან ორაგულებს ადვილათ და იჭერენ; ისეც ადვილია იმი-სი დაჭერა, მაგრამ წყალში ჩადგომა ძიელ ძნელია მდინარის სიცივის გამო. თუ ჩადგებიან შიგ—ხუთი წამის შემდეგ იცვ-ლებიან მოთევზეები, რაც გინდ სიცხეც იყოს.

ამ მდინარიდგან შევუდექით მაღალს მთას, სადაც არის გაშენებული სოფელი ყემულთა, რომლისკენაც მისდევს ვიწრო ბილიკა. მთებიდგან გამოდის წყლები და ეს ბილიკი ისე მოლირჭყულია, რომ ერთობ საშიშია სიარული ფეხითაც, ამისათვის, რომ, თუ ფეხი გადაუცილდა, ნიშანს ველარ იპოვიან კაცისას, ისე დაიმტვრევა იგი. სოფელი ყემულთა ძალიან ლამაზია, სახლები სულ წმინდათ გაშალაშინებული ხისაა, ორეტაჟიანი. რიგზე აშენებულია, თითქო პლანი სჭერიათ ხელშიო-გორის ორხიტექტორი ბაროვსკი რომ ასე კარგ პლანზე აშენებინებდეს მცხოვრებლებს სახლებს, იქნება ადესას არ ჩამოუვარდეს სიმშვენიერით გორი. ამ სოფლის ძირში გამოდის ზემოხსენებული ფაწა, რომელიც ყემულთის სიმაღლიდგან პატარა ბაწარივით მოჩანს. ყემულთაში ყანები შემოსულიყო, რადგან მზე ამ მაღლობს მთელი დღე უცქერის. ამ სოფლის სისუფთავეს ხალხის სისუფთავეც უნდა მიუმატოთ: იცვამენ ძალიან სუფთა შალეულობას. ქალები ხალხს ძიელ ერიდებიან, რადგან ძალიან იშვიათათ ხვდება აქ უცხო კაცი, სწორედ ლამაზ, კოპწია გარეულს ირემს წარმოგიდგენთ აქაური ქალი. თუმცა პირ-ახვეულები გამოიჭყიტებიან თავიანთი სახლებიდგან, მაგრამ წყალს ან ცეცხლს თუ მოსთხოვს მგზავრი, ეს კი კარგი ჩვეულება ჰქონიათ, ქალმა უნდა გამოიტანოს და პატარა ხანს თუ გამოელაპარაკე, შეჩვევაც მალე სცოდნიათ. მერე ნელა-ნელა დაგიახლოვდებიან და რაღაცა გაოცებით უყურებენ მგზავრსა. ერთის სიტყვით, ამ მხარეში, რომელ სოფელშიაც კი მივედით, აღარ გვინდოდა გაშორება, რადგანაც ერთობ გვიზიდავდა ხალხის გულ-უხვობა, სიმშვენიერე, ბუნების სიკეკლუცე და სხვ.

ამ სოფლიდგან წავედით ისევ დასავლეთისკენ, იმერეთის

სამძღვრებისაკენ, ს. ერწოში. ეს სოფელი მდებარეობს ვაკე ადგილზე, ნიადაგი ნოტიოა და ბალახიანია, ხალხი, თითქმის სულ ყველა, რიგიანათ სცხოვრობენ; ექვს ვერსტზე გარშემო დაცემული ნაყოფიერი და ბალახიანი მინდორი არტყია, რომელიც შემოზღუდულია მაღალის დასეთქილი მუხის მესრით, შიგ ამ შემოზღუდულ, დაკეტილ მესერში არის თავისუფლათ სოფლის საქონელი გაშვებული. სამხრეთით ერწოს აქვს აყუდებული დიდი მთა, რომელიც აჭრელებულია სხვა-და-სხვა ფერის კლდეებითა. საზოგადოთ ეს მთა კაჟიანია, მთაზე მითხრეს ოსებმა, რომ ჩვენი მამა-პაპანი აქ რკინას სთხრიდნენო, მადანი იყოვო. დურბინდით დავხედეთ და მაღლობში აქა-იქა სჩანდა ნათხარი ადგილები, ამომტვრეული კლდეები. ჩრდილოეთით ს. ერწოს უდგას სხვა მაღალი მთა, ძალიან ბალახოვანი, ასე რომ რამდენიმე ათასი ბულული თივისა იდგა. ეს არის მიზეზი, რომ აქაურ გლეხებს, თითო ოჯახს, სულ უკანასკნელი სამოც-ოთხმოცი სული რქიანი საქონელი ჰყავს. ამოდენა სიმდიდრეს სულ თავის ოჯახს ახმარებს, ამიტომ აქ, როგორც გსთქვი, ყველა შეძლებულია. შემდეგ ცოტა-ხნის შესვენებისა, რადგან კიდევ დაღამებამდინ დრო იყო, გავწიე რკინის მადნის სანახავად. წავიყოლე ოსები, წავაღებინე წერაქვები და სხვა იარაღები რკინისა და შევუდექით იმ უზარ-მაზარ მთას. წყლისგან წამოღებული დიდრონ-დიდრონი შავი ქვები ეყარნენ ღრანტეებში. გავშინჯეთ და აღმოჩნდა, რომ ეს ქვები ნიაღვრებისაგან ჩამოზიდულია ზემოდგან, მადნის ადგილებიდგან. გაშინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ქვები ნამდვილი რკინა იყო. მაინც-და-მაინც აგვედით ზევით, საიდგანაც წამოღებული იყო ეს ქვები. ამოვთხარეთ, ამოვამტვრიეთ ზემო ნახულის გვარი რკინის ქვა; აქვე ვნახეთ ყვითე-

ლი მალამოსავით ქვა თირისა, რომელსაც ეხლა მხატვრები სალებავათ ხმარობენ. ამ ყვითელ თირის ქვას ურევია შიგ შხეპლი და შხეპლი ფოლადი. როგორც სჩანს, ეს მთა სულ რკინა და თირაა. ეს მთა მისდევს დასავლეთისკენ და უერთდება მთას, რომელშიაც იღებს სათავეს მდინარე ყვირილა. ამ შეერთებულ მთასთან არის ს. წონა, რომელსაც იხსენიებს ჩვენი გეოგრაფი ვახუშტი. კრწოდგან ერთის ვერსის სიშორეზე, წონისკენ მთები თან-და თან იშლება და ამ მთებს შუა ჩრდილოეთის მთებისკენ არის ტბა, რომელსაც სიმრგვლივ ოთხ ვერსზე მეტი სივრცე უნდა ჰქონდეს. ამ ტბას ჩრდილოეთით და დასავლეთით უდევს მაღალი, ხშირი ტყით და ბალახით შემოსილი მთები, რომლებსაც ტბის ტალღები ხვდება. სამხრეთ-აღმოსავლეთით ტბა შეჭრილია მთებში და აღმოსავლეთისკენ ბუნებითი ბუხტია. ამან წარმომიდგინა ჩემგან ნახული ზღვის, ქალაქების ბუხტები, შევადარე და ვინატრე ჩვენი საცოდავი ფოთისთვის, მაგრამ ნატვრა ნატვრადვე და შრჩა. წყალი ტბისა ლურჯია, უმარილო, თევზი უხვად, კალმახი ისე ამოდიოდა და ამხაპუნებდა წყალს, თითქო ხშირი წვიმა მოდისო. იხვი და სხვა წყლის ფრინველები იმდენ გუნდებათ დაფრინავდნენ, რომ ცა აღარ სჩანდა. სამოთხეც აქ ყოფილა, თავისუფლებაც და ბედნიერებაც, მეთქი. ვიფიქრე, ბედნიერია აქაურობა, რომ ჯერ შეუბრალებელი ხელი ადამიანისა არ მოხვედრია ამ ქალწულ ბუნებას. ამ მთებს რომ გზები ჰქონდეს, რომ შეიძლებოდეს ხშირი მისვლა-მოსვლა, რამდენი რამ ნივთიერობა გამოვიდოდა საქართველოში და ერთიათად დასწევდა ყოველისფერის ფასებს. მაგრამ ბალა ეს არის, რომ სადაც მისწვდება გაუმაძღარი სული ვაჭრებისა, ყველას თავის წილს სდებენ, ყველას ცეცხლს უკიდებენ. ამის წარმო-

დღენამ აზრი შემიცვალა და ვინატრე ამ ლამაზი ადგილებისა-თვის ისევ ქალწულად ყოფნა.

რკინის მთას გავყევით, ტბას ავუქციეთ და გავედით ერთ ტრიალ ველზე, რომელიც ისე გაჭედილი იყო გათიბულის ბულულებით, რომ კაცს ზურმუხტის ზღვა ეგონებოდა; აქაც მთელი სამოვარი ალაგები და თვითეულის მეკომურის მამუ-ლი, სახნავ-სათესი, შემოზღუდულია მუხის მესრით. ეს მშვე-ნიერი ადგილი ეკუთვნის პატარა სოფელს წონას, რომელიც ყველა ზემოდ მოხსენებულ სოფლებს არ ჩამოუვარდება. ხალხიც შეძლებულია, ლამაზი, სუფთა, სახლები მშვენიერი და დაყო-ფილი არიან ოთახებათ, რომლებშიაც დარბაზია შესანიშნავი, სადაც ერთად თავ-მოყრილია მთელი სახლობა და სადაც იღებენ სტუმარსაც. ყველას თავ-თავისი საწოლი ოთახი აქვსთ. სტუმ-რებისთვისაც ცალკე ლოგინს შეადგენს კრაოტზე გაშლილი, მშვენიერი, წმინდა, სუნნელოვანი თივა, თივთიკივით რბილი, რომელსაც ზემოდგან გადაფარებული აქვს თეთრი, წმინდა შალის ნაბადი. აი, აქ გვითხრეს ნავთზედ, რომლის სა-ნახავად წავედით. ნავთი გამოდის წყაროებად. მეორე დი-ლით წაგვიყვანეს სანახავათ ნავთის წყაროებისა. დასავლე-თით გზა იკვრის და აქედგან, როგორც ვსთქვით, გამოდის ყვირილა პატარა ნაკადულის ოდენა და თან-და-თან იზრდება. აქ, ამ დასავლეთის მხარეზე, სამი ვერსის სიშორეზე ნავთის წყაროებიდგან, სადაც წყდება ზემო ნათქვამი რკინის მთა, მივადექით ერთ ჩავარდნილ ალაგს, სადაც ვნახეთ დიდი ყვითე-ლი ჭაუზი, რომელიც გადავაწყევინე კეტებით ზემოდ. ეს ჭაუ-ზი გაფიცრული იყო ყვითელი ნივთიერებით. გარეშემო ამ ჭაუზს ახვევია კლდე; როგორც ეტყობა, ამოკაფულია და გან-გებ გაკეთებულია ჭაუზის გვარად. გამოვაწმენდინეთ ეს ჭაუზი,

დავაგუბეთ კვლავ და ისევ ახლად მოიგდო ყვითელი ნივთიერება, რომელსაც ნამდვილი ნავთის სუნი აქვს. თან სპილენძის ქვაბი მქონდა, ზაროვუშით დასურული. მინდოდა გამეცხელებინა და გამეგო ნამდვილათ, რა იყო ისა. როგორც გაცხელდა ქვაბი, აგლიჯა ზაროვუშა და ისეთ ნაირათ მოჰკიდა ცეცხლი ქვაბს, რომ ადგილ ადგილ დაშალა, შემდეგ ჭაუზიდგან სამი ბოთლი ავამსე და წამოვიღე სანჩვენებლათ. გარეშემო ჭაუზისა კლდეები სულ დანოტივებულია, თითქო ზეთში ამოუვლიათო. შევყევით ხევს და, სადაც ნოტიო ადგილები დავინახეთ, წერაქვი დავკარით და მკლავის სიმსხოთ ამოხეთქავდა ხოლმე ნავთი. ერთის სიტყვით, ეს ნავთის ადგილი გარეშემო რამდენიმე ვერსი იქნება. ზემოთ ვეღარ წავედით, რადგან ღელეებში არც გზები იყო და ზემოთაც დიდი თოვლი იდო. ეს ნავთი ჲ ზემოთ ნათქვამი რკინის ქვები ვაჩვენე, როგორც გორნი უჩრავლენიის ინჟინერს, ისე მცოდნე პირებს, ანგლიჩნებს და დაამტკიცეს, რომ ნამდვილი რკინის, ფოლადის და თირის მადანია აქ. ნავთისა მითხრეს, რომ სადაც რკინის იარაღები კეთდება, ზეთის მაგივრად იხმარებაო და ნამდვილათ ნავთიაო. დღეს, გაუწმენდავათ ისრე სუფთა არის, რომ კარეტისათვის მაზად გაიყიდება. სადაც ეხლა მუხრანსკის და სხვებს... მარგანეცი გამოაქვსთ, ის მთა შეადგენს ამ მთის მეორე მხარეს და ადგილათ შეიძლება, რომ ეს ჩემმიერ ნაჩვენები გრძელი რკინის მთა სულ ლითონების მთა იყოს, რადგან მცირედის გაგზავნილის ნიმუშებით ნამდვილი ლითონები გამომდგარან და ამ დღეებში კიდევ ითხოვეს ანგლიაში ამის ნიმუშები და მეორეთ გაგზავნის შემდეგ დაწვრილებით გავაგებინებ მკითხველს, როგორ მოსჭიდებენ ამ სასარგებლო საქმეს ხელსა. თუმცა მამულის პატრონებს იქაც ვურჩიე, მაგ-

რამ ეხლაც ვურჩევ—სუმბუქათ ნუ შეხედვენ ან საქმეს, გაზაფხულზედ მოათხრევინონ რამდენიმე ალაგას, ყველა ნაირი მინუში ამოიღონ, აგრეთვე ეს ნავთი გუდებით ჩამოიტანონ ქალაქში და იქ ნამდვილი ღირსება გაიგონ.

ალალო თუთაევი.

# ႱႠႵႠႰႧႥႤႪႭႱ ႫႭႩႪႤ ႫႠႲႨႠႬႤ.

( გაგრძელება. )

## ბაგრატოვანთ ჩამომავლობა.

## I

### მეფობა გურამისა.

ჩამომავლობა ბაგრატოვანთა.—ახალი ერისთავების დანიშვნა.—სპარსეთში შესვლა. — მოლაპარაკება მავრიკესი ამბარვეზთან საქართველოს დამოუკიდებლობაზე.—სიონის და წმ. ჯვრის ტაძრების აშენება.—სიკვდილი გურამისა.

ბაგრატოვანები ანუ ბაგრატიდები წამომავლობენ ურიების მეფეებისგან. ზოგიერთი დავითის და სოლომონის ჩამომავალნი, ურიათა გადასახლების დროს, შამოვიდნენ სომხეთში და აქ ხელ-ასლად გამოჩნდნენ და გამძლავრდნენ. ბოლოს მიიღეს ქრისტიანობაც. მეექვსე საუკუნეში ერთმა მათგანმა შეირთო ვახტანგ-გორგასლანის ქალი. ამ ნათესაობის წყალობით იგი გახდა კლარჯეთის და ჯავახეთის მმართველად. მისი შვილი გურამი, რომელიც დაინიშნა საქართველოს მეფედ, გახდა მოთავედ ბაგრატოვანთ გვარისა.

გურამის მეფობის (გარდ. 586) პირველ დროში კახეთი ორად გაიყო: მარცხენა მხარე ალაზნისა ვიდრე კავკასიონის მთებამდე მიე-

ცა ბაკურ მესამის შვილებს, მარჯვენა კი (ქიზიყი-კამბეჩოვანი) წაერთვა სპარსეთის მართველს ვახანს და მიეცა გურამის ძმებს.

გურამმა რომ საქმეები მოარიგა კახეთში, იმპერატორმა გამოუგზავნა მას დიდ-ძალი ფული და სთხოვა დაექირავებინა მთიული ხალხი, ამასთან შეერთებინა ქართველთა ჯარები და შე-სეოდა სპარსეთს. გურამმა მოიწვია ოსები, ძურძუკები, დიდოე-ლები და წავიდა ადარბეჟანის მხარეს. გაოხრეს ეს ქვეყანა და სპარსეთს თავს ზარი დასცეს. მაგრამ მალე ბარამ-ჩუბინმა სრულიად დაამარცხა ოსმალოს ჯარები, მერე მოვიდა და შაე-ბა ქართველების ჯარებს, რომელიც აგრეთვე დაამარცხა. ქართ-ველები უკან მოიქცნენ. სპარსეთში ჩამოვარდა უთანხმოება და შინაური შფოთი, რომელიც დაბოლოვდა მით, რომ იმპერა-ტორმა მავრიკემ მიიღო მონაწილეობა მის დამშვიდებაში, რის გამო საქართველო ხელ-ახლა გადავიდა იმპერატორის მფარ-ველობის ქვეშ.

გურამის მეფობაში აშენდნენ ტაძრები: თბილისში სიონი და წმ. ჯვრისა არაგვის მტკვართან შესართავის მარცხენა მხა-რეს; იქ, სადაც პირველად მირიან მეფის დროს დასდგეს ჯვარი. გურამისვე მეფობაში ალყავდა თბილისი და უფრო დასუსტ-და მცხეთა, რადგან ხალხი გადასახლდა აქედგან. გურამი მო-კვდა 600 წელში და გამეფდა უფროსი შვილი მისი — სტეფა-ნოზი I.

# II

## სტეფანოზის მეფობა,

საქართველო სპარსელების დამოკიდებულებაში ვარდება. —იმპერატორის ირაკლის მოქმედებანი.—ქაზარეველნი საქართველოში.—თბილისის აღება ადარნასესაგან.—საეკკლესიო საქმენი.

მავრიკეს უნდოდა ახალი განწყობილება და წესიერება შემოეღო თავის ჯარში. ეს არ მოეწონა მის ჯარს და კიდეც ფოკის წინამძღომლობით დაეცნენ კოსტანტინოპოლს, აიღეს ქალაქი და გაამეფეს ფოკი. ამან მოჰკლა მავრიკე. ფარვიზმა გადასწყვიტა მაგიერის გადახდა იმათთვის, ვინც ხელი შეახო მის ნათესავ სახლობას. სპარსელები დაეცნენ მცირე აზიას, გაიოხრეს ეს მხარე, მერე სირია, ანტიოქია, იერუსალიმი აიღეს, შევიდნენ არაბისტანში და ეგვიპტეში. ამ გამარჯვებებმა თავს-ზარი დასცა იმპერიას და არ იცოდნენ, რითი გათავდებოდა ეს ომები. მხოლოდ ირაკლი, ფოკის შემდეგ გამეფებული, იმედს არ ჰკარგავდა და გულადად იყო.

საქართველოს მეფე სტეფანოზი კი ძალიან შეაშინა ფარვაზის განძლიერებამ, რის გამო მან თავის ნებით გადასცა საქართველო სპარსელებს. სპარსელები შემოვიდნენ ამ ქვეყანაშიაც. ქრისტიან სჯულხებს გაუძნელდათ ცხოვრება ამის მეფობის ქვეშ.

ამასობაში ფარვაზი მიადგა კოსტანტინოპოლსაც. ირაკლი, რომ მისთვის თავშლები აგზა, ჯერ შეურიგდა. მერე ორი წლის განმავლობის შემდეგ მოიწვია კავკასიის ხალხები და თითონ დაეცა მას.

ქართველების გულის მოსაგებლად ირაკლიმ წინათვე სტეფანოზის მაგიერ დანიშნა საქართველოში მეფედ ბაკურ III-ს შვილი ადარნასე (სასანიდის გვარიდგან), აფხაზეთის მმართველს ლეონს აჩუქა ქალაქი ნიკოფსია. 622-ს და 623 წლების განმავლობაში ირაკლიმ აიღო სომხეთი, ადირბეჟანი და შირვანი. 624 წ. შიგ შუა სპარსეთში უნდოდა წასვლა, მაგრამ დაღალული ქართველები არ გაჰყვნენ.

ამავე დროს სპარსელებს დერბენტიდგან შემოესივნენ ქა-ზარეველნი და გაუოხრეს მათ ქვეყანა. ირაკლიმ შემოიერთა ესენი და დაეცა თბილისს, რომელშიაც სპარსელების ჯარით გამაგრებულიყო სტეფანოზი, აიღო ქალაქი, ყალის გარდა, ყა-ლას შემოარტყა ჯარები ადარნასეს წინამძღოლობით და თი-თონ შეესია სპარსეთს. სპარსეთამდე ამან გაიარა საქართვე-ლოს მაწყები: გარდაბანი, ბერდუჯი და ლალი. ააშენა აქ მრა-ვალი ეკლესიები. ხალხი და მმართველი ბერდუჯისა ვარაზგა-გელი სომხების რჯულიდგან მართლ-მადიდებელ ქრისტიანო-ბაზე მოაქცია.

ადარნასემ აიღო ყალა და დასტყვევა ჯარის უფროსი, გაა-ტყავა იგი და გაუგზავნა ირაკლის, რომელიც მაშინ იყო ვა-რაზ გაგელისას. ამ ნაირათვე დასაჯეს სტეფანოზი და მისი მომხრენი. სტეფანოზის შვილები გაიქცნენ და დაიმალნენ კლარჯეთის მთებში, ადარნასე კი დაუბრკოლებლად ავიდა თა-ვის მამა-პაპეულს ტახტზე. ბერძნებს დარჩათ შავი ზღვის ნა-პირები, და კლარჯეთის ერთი წილი.

629 წელში ირაკლიმ გაათავა ომები სპარსეთთან; და-ბრუნდა საქართველოში და ბრძანა გაერეკნათ ყველა ცეცხლთ თაყვანის მცემლები, თუ ისინი არ მიიღებდნენ ქრისტიანობას. მერე ირაკლი წავიდა საბერძნეთში.

ადარნასეს მეცადინეობით ქართველთ კათალიკოზის კურთხევა ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო საქართველოში და არა ანტიოქიაში, როგორც აქამდე. ადარნასე მოკვდა 639 წელში. გამეფდა შვილი ამისი სტეფანოზი II.

## IV

არაბები.—დაპყრობა სპარსეთისა.—შირვანისა.—სომხეთისა.—სტეფანოზ მეორეს მეფობა,—არაბების საქართველოში შემოსევა.—საქართველო ბერძნებ და არაბებ შუა იყოფება.—მეფობა მირისა და არჩილის.—მერვანის (მურვანის) შემოსევა.

ალლახის მოციქული — მაგომედი უდიდესი, (თათრების ისტორიის მოწმობით ყველა მოციქულებზე) გახდა მე შვიდე საუკუნის დასაწყისში მფლობელად მთელის არაბისტანისა, რომლის გაფართოება და გადიდება მოინდომა, მაგრამ სიკვდილმა (632 წელში) აღარ დააცალა. მის მაგიერ მისმა ქალიფებმა (აბუბეკრ დ ომარ) თორმეტის წლის განმავლობაში მაგომედის სიკვდილის შემდეგ აღასრულეს წინასწარმეტყველის სურვილი.

არაბების გაძლიერების მიზეზები იყვნენ სპარსეთის დასუსტება და იმპერატორის ირაკლის ომები. სპარსეთში დიდხანს ჰსუფევდა შფოთი და უთანხმოება. ჰსოცავდნენ ზედიზედ მეფეებს და ახალ პირებს ამეფებდნენ. გარდა ამისა ირაკლისაგან ძალიან დასუსტებული იყო ეს ქვეყანა, და თვით ირაკლიც, მრავალი ომებისაგან დამაშვრალი, ყურს არ უგდებდა არაბისტანის საქმეებს. ამით ისარგებლეს არაბებმა. აბუბეკრის ბრძანებით არაბების ჯარების უფროსი ქალედი შევიდა სპარსეთში, დაიპყრო ირანი და ევფრატის ხეობა. ჯარების მე-

ორე ნაწყვარი შავიდა სირიაში და დაიჭირა მრავალი ქრისტიანის ქალაქები, სხვათა შორის იერუსალიმიც. მერე სპარსელები შემოვიდნენ ტიგრის ხეობაში და აქედგან სომხეთში. მოხდა საშინელი ბრძოლა; სომხები დამარცხდნენ და ხალხს შიშის ზარი დაეცა. სპარსელებმა დაიპყრეს სომხეთი და არეზის ხეობა (639 წელში). 642 წელში დაიპყრეს აგრეთვე შირვანი. ჯერი მოადგა საქართველოსაც.

არაბების გამარჯვებებმა შეაშინა ქართველი ხალხიც. ყველანი მოელოდნენ საშინელ აკლებას, აწიოკებას, ამისთვის ყოველი კაცი მიეშურებოდა მთებისკენ და ვერ მისაგნებელ ადგილებში მალავდა თავის ქონებას, ავეჯეულებას.

663 წლიდგან მოკიდებული საქართველოში მეფობდნენ მირი და არჩილი — შვილები სტეფანოზისა, — პირველი დასავლეთ საქართველოში — მეორე აღმოსავლეთში. მალე არჩილიც გადიქცა დასავლეთ საქართველოში — სამეგრელოში თავის ძმასთან, რადგან ეშინოდა განძვინებულ არაბებისა. მართლაც არაბებმა დიდ-ხანს არ უცადეს მურვანის (სხვა ცნობილია ჩვენს ისტორიაში მურვან ყრუდ) წინამძღომლობით შემოესივნენ საქართველოს, გაიარეს დარიელის ყელამდი. დაიპყრეს ეს სამაგრე და მერე გაიარეს ქართლი, სამცხე და მიადგნენ არგვეთს, სადაც დახვდა მათ ქართველთ მოწინავე ჯარი ორი ძმის, — დავით და კონსტანტინეს (ერისთავები) წინამძღომლობით. თუმცა მოწინავე ჯარი სპარსელებისა დამარცხდა, მაგრამ ამან უფრო გააჯავრა მურვან, რომელიც ყოვლის თავის ძალით იერიშით მიუხდა არგვეთზე. ქართველები მამაცურად ებრძოდნენ, მაგრამ რას გაიტანდნენ ურიცხვ მტრის რაზმებთან! არაბებმა გაიმარჯვეს. დაატყვევეს თვით ქართველთ ჯარების წინამძღოლები. ხელ-შეკრულები დავით და კონსტანტინე წარუ-

დგინეს მურვანს, რომელმაც ვერ აწვალა ისინი და მერე ჩაჭყარა ტბაში (ზოგიერთნი ამბობენ მდინარეშიო — რიონში *).

მირვანს უნდოდა დაეტყვევებინა თვით მეფენი. ამისთვის იმან გაიარა მთელი იმერეთი და გადავიდა აბხაზეთში. გაიგო თუ არა, რომ მირი და არჩილი იმალებოდნენ ანაკოფიაში, იმან შემოარტყა ჯარები ამ ქალაქს. მეფეებს ჰყვანდათ ქალაქში 2,000 აბხაზები და 1000 ქართველი. გამაგრებული ქალაქი წვიმებისა და ნაღვრებისა გამო ვერ აიღო მურვანმა და წავიდა ზღვის პირად, სამხრეთისკენ. ბევრის წვალების და ვაი-ვაგლახის შემდეგ მურვანი გავიდა საქართველოდგან: მაგრამ ვაი ამისთანა გასვლას: არც ერთი შენობა დაუზიანებელი და დაუმხობელი არ დაანარჩუნა საქართველოში; მთელი ჩვენი ქვეყანა არაბების მოხარკედ გახადა.

არაბების შემოსვლამ სრულიად დაამხო საქართველოში კერპთ თაყვანის-ცემა. ამათ დაანგრიეს ძველი კერპები, დევნა დაუწყეს მოგვებს და ცეცხლთ თაყვანის მცემლებს. ამისთანავე დღე დაუდგათ აგრეთვე სპარსელების მქადაგთა. საშინელ დევნას გამო ცეცხლთ თაყვანის მცემლობის სჯულის მტკიცედ მორწმუნენი მიილტოდნენ ინდოეთში თავის საშველად. ამ ნაირად მთელ სპარსეთს მიაღებინეს მაჰმადის სჯული და სამუდამოთ დათრგუნეს ზოროასტრის სწავლის დედა-ბოძი.

---

ამ დროინდელი შინაური მდგომარეობა ქართველი ხალხისა მოკლეთ არის გადმოცემული. მაშინ ქართველებს ჰქონდათ საკუთარი ფული, საკრავ და საომარი იარაღები: ბუკი

---

*) ძმათა დავით და კონსტანტინეს საქართველოს ეკლესია იცნობს წმინდანებათ და ამ წმინდანების სახელობაზე აშენებულია მოწამეთის ეკლესია (ექვსი ვერსის სიშორეზედ ქუთაისიდგან.)

მ. ჯ.

დაფდაფი, შურდული, ლახვარი, ხმალი და ფარხმალი. ქართველებს მაშინ ჰქონიათ: ახალუხი, გრძელი სახელოებიანი ჩოხა, წაღები მაღალი ქუსლებიანი და გრძელი, წვეტიან ცხვირებიანი, ჰგრეთვე ქალამანი.

სხვათა ჩვეულებათა შორის აქამდე დარჩომილა ჩვენ ხალხში იმ დროინდელი „ჭია-კოკონა" სალამო, რომელიც ყოველ წლიწადს იდღესასწაულებიან ხოლმე დიდი მარხვის უკანასკნელს კვირის ორშაბათ სალამოს. ამით ქრისტიანი ხალხი ჰხატავდა თავის დაცინვას ცეცხლ-თაყვანის მცემლობასადმი.

## საქართველო არაბების მფლობელობის დროს.

მეფობა არჩილისა.—მისი მოკვლა.—უბედური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა.—საქართველო ჯუანშერს და იოანნეს შუა იყოფება.—ქაზარების შემოსევა.—თბილისის არაბებისაგან აღება.—აბხაზეთი.

მირი მოკვდა მაშინ, როდესაც ანაკოფიას მურვანი შემოერტყა; მეფად გახდა არჩილი. მირის ანდერძის მიხედვით არჩილმა გაათხოვა თავისი ძმისწულები, სხვათა შორის ერთი მისცა აფხაზეთის მთავარს, რომლის შემწეობითაც დაიპყრო და დაამშვიდა შავი ზღვის ნაპირა ხალხები; ამის შემდეგ ადვილად დაიმორჩილა და დაამშვიდა: სამცხე, ქართლი და კახეთიც. ჰგრეთვე თუშეთი და ხუნძახი (დაღისტანი). ყველგან აშენებდა ეკლესიებს და ავრცელებდა ქრისტიანობას ქართველ ხალხებში, რომელნიც არაბების შიშით გადათათრებულიყვნენ. ამ ნაირი იყო მეფობა არჩილისა 50 წლის განმავლობაში

მურვანის შემოსევის შემდეგ, მინემ არ შემოესეოდა საქართველოს მეორეთ არაბის ხალხი ჯუმანჯუმ — აზიმის წინამძღოლობით. ჩვენი ხალხი კიდევ შეირყა. სად შეეძლო წინ დასდგომოდა მტერს! პირველ ოხრებისგანაც ჯერ სული ვერ მოებრუნებინა. მეფე, ერისთავები და მთელი ხალხი შეშინდა. არჩილს უნდოდა თავის-თავი მიეტანა მსხვერპლად ხალხის მაგიერ. ამის გულისათვის ის თვით წავიდა ჯუმანჯუმის ბანაკში ერთგულების გამოსაცხადებლად. აზიმი დაჰპირდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ხალხს მიეღო მაჰმადის სჯული. მაგრამ არჩილმა ეს არა ჰქმნა. მაშინ აზიმმა სთხოვა, რომ თითონ მაჰმადიანი გამხდარიყო. არც ეს მოინდომა არჩილმა. აზიმმა ჩააგდო არჩილი საპყრობილეში და ძალით უნდოდა მიეღებინებინა მაჰმადის სჯული. მაგრამ მეფე რომ მაგრა იდგა თავის სარწმუნოებაზე, მოაკვლევინა იგი და საშინლად ააოხრა საქართველო. მეფის გვამი იპოვნეს ქართველებმა. შემდეგში მისმან დაასაფლავა იგი სოფ. ნოტკორის ეკლესიაში (კახეთში).

ამ ნაირად ისეც დასუსტებული და ძალა-გამოლეული ქვეყანა უარეს მდგომარეობაში ჩავარდა. საქართველოს დასუსტების ერთი მიზეზთაგანი იყო აგრეთვე საქართველოს ორად გაყოფა არჩილის შვილებ (იოანეს და ჯუანშერს) შუა. მაგრამ ამისთანა უბედურ დროს საქართველოს ზედ მოჰყვა კიდევ ერთი უბედურება—მეკობრე ქაზარების შემოსევაზე. ამის მიზეზი იყო ის, რომ მეფეებმა თავისი და შუშანი არ მიათხოვეს ქაზარების მმართველს ხაკანს, რომელმაც მოინდომა მის შერთვა. ხაკანმა გამოგზავნა თავისი ჯარი, რომელსაც ძალით უნდა წაეყვანათ მეფეთ და. ქაზარები დაღისტნიდგან შემოვიდნენ კახეთში, დაარბიეს ჩელეთი, წუკეთი, ველის-ციხე, თიანეთი, ერწო, აგრეთვე თბილისი და სხვა ადგილები; ჯუან-

მეფე და მოშიშნი ტყვეთ წაიყვანეს დარიალის ყელიდგან. მაგრამ მოშიშნამ ვერ გაუძლო უბედურებას და შხამი მიიღო.

ამ გვარი შავი დღეების შემდეგ თბილისი არაბებმა აიღეს და დაადგინეს აქ თავის სამმართველო და დაადვეს აღმოსავლეთ საქართველოს ხარკი.

ჯუანშერი ტყვედ დარჩა შვიდ წელიწადს და მერე დიდის საჩუქრებით ხაკანისაგან განთავისუფლებული დაბრუნდა საქართველოში. ამის შემდეგ ჯუანშერს დიდი გავლენა აღარ ჰქონდა თავის სამეფო ბედ-იღბალზე.

დასავლეთის საქართველო სრულიად დაემორჩილა აფხაზეთის მეფეს ლეონს II-ს.

ამ დროიდან აფხაზეთი იყო ბერძნების იმპერატორების დამოკიდებულების ქვეშ, თუმცა იგი მკლავდგანვე შეადგენდა საქართველოს სამეფოს ნაწილს. ლეონ II-მ ცოლად შეირთო ხაზარის ქალი და სიმამრის შემწეობით განდევნა ბერძნები და გამეფდა. მერე დაიმორჩილა სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, სვანეთი, გურია; და ყველა ეს ადგილები რვა საერისთაოდ გაჰყო: 1 საერისთაო იყო აფხაზეთი; 2, ცხუმისა—ენგურიდგან მოკიდებული აღმასამდე; 3, ბედიისა—ენგურიდგან ცხენისწყალამდე; 4—გურია, 5—6—რაჭა—ლეჩხუმი 7 სვანეთი; 8 ცხენისწყლიდგან სურამის მთებამდე რიონის სათავის გაყოლებით. თავის ტახტი გადმოიტანა ქუთაისში. ყველა ამ რვა საერისთაოს დაერქვა „სამეფო აფხაზეთისა“.

იოანე მალე მოკვდა, მოკვდა აგრეთვე ამის ძმაც—ჯუანშერიც. მეფობა ჯუანშერის ცოლის ძმას — აშოტ ბაგრატიონს დარჩა. ამ გვარად გადავიდა სასანიდების გვარის მეფობა საქართველოში.

## II

აშოტის მეფობა.—თვითმმართველები კახეთისა.—აშოტის ქართლში შემოსვლა. დამარცხება თბილისის ემირისა (მთავარისა). —აშოტის განდევნა ქართლიდგან.—აშოტის დაბრუნება და სიკვდილი.—არაბები ქართლში.—ხალილი კახეთში.—ხალილას შვილი-მუხამედი ბაგრატს ჰშველის ქართლის აღებაში.—ბერძნები აბხაზეთის შესახებ.

აშოტი იყო შვილის-შვილი გურამისა; 626 წელში ეს გაიქცა კლარჯეთის მთებში და დაიმალა იმპერატორ ირაკლის დევნისაგან. სამცხე-საათაბაგოზე დიდი გავლენა ჰქონდა აშოტს და ითვლებოდა მის მმართველად. ჯუანშერი, რადგან იყო სიძე აშოტისა (ცოლად ჰყვანდა მისი და), ამიტომ ამის სიკვდილის შემდეგ მეფის ცოლის წყალობით აშოტი გახდა მეფედ (787 წელში). 23 წლის განმავლობაში აშოტმა იბრძოლა შინაურ და გარეშე მტრების დასამარცხებლად და საქართველოს შესაერთებლად. მაგრამ მინამ აშოტი აღასრულებდა თავის წადილს 790 წელში ერთმა თავადმა გამოაცხადა თავის-თავი დამოუკიდებელ მმართველად კახეთისა და გახდა მთავრად ამ ქვეყნისა. საქართველოს სამეფო შეიქნა მხოლოდ ქართლი.

შინაურ შფოთისა და არეულობის გამო არაბების ჯარების უმეტესი ნაწილი იქმნეს გაწვეულნი არაბეთში. ამ დროს აშოტმა მიათხოვა თავისი ქალი აბხაზეთის მეფეს თეოდოზ I-ს, შვილს ლეონ II-სას, და მერე სიძის შემწეობით შეესია ქართლს. გრიგოლიმ—კახეთის მმართველმა, თავის შიშით მოიწვია ლეკები და შეუერთდა თბილისის ემირს-ალის; ესენი

ქსანზე დაუხვდნენ აშოტს, რომლისაგანაც დამარცხდნენ და ქართლიდგან განიძევნენ. მაგრამ მალე, რადგან შველა არავისგან იყო, ალის და სომხეთის ემირის ხალილას ჯარებმა დაამარცხეს აშოტი და განაძევეს ქართლიდგან.

ამის შემდეგ კი ხანს დარჩა აშოტი სამცხე-კლარჯეთში. აქ ის აშენებდა ეკკლესიებს და დანგრეულ ქალაქებს. ბოლოს ბედმაც გაუღიმა და დაიპყრო მთელი ქართლი, მაგრამ არაბები მოსვენებას მაინც არ აძლევდნენ და 826 წელში უცაბ დაეცნენ მას ნიგალის ხეობაში და შიგ ეკლესიაში მოჰკლეს. ამ მეფის გვამი დამარხულია არდანუჯის ეკლესიაში. ამ ნაირად ალი გახდა ემირად ქართლისა და სამცხე-კლარჯეთისა, აშოტის შვილებს ხარკი უნდა ეძლიათ მასთვის.

872 წელში მოკვდა კახეთის მმართველი (ქორ-ეპისკოპოსი) გრიგოლი, რომელსაც აწერენ აშენებას ქალაქის თელავისას გომბორის მთის კალთაზე. გრიგოლის შემდეგ ხალხმა მმართველად დასვა დაჩი, იოანე ქობულიძის შვილი. დაჩი მმართველობდა კახეთს 12 წელიწადს, 839 წელს მოკვდა ისიც და კახეთში მმართველად გახდა სამუელ დონაური — ამისობას კახეთს დაეცა ხალილა, სომხეთის ემირი, მაგრამ სოფ. გავაზთან დამარცხებული და უკუ-ქცეული იქმნა. რამდენიმე ხნის შემდეგ ესევე ხალილა შემოესია ქართლს, მაგრამ ჯავახეთში მოკლულ იქმნა. ამის შვილმა, მუხამედმა განიზრახა ჯავრის ამოყრა და გაემგზავრა ქართლისაკენ. მას მიეშველა აშოტის მეორე შვილი — ბაგრატი, რის გამო მუხამედმა მისცა მას ქართლი.

ამავე დროს აფხაზეთი მოსვენებაში არ იყო: ბერძნები ხშირად ეცემოდნენ მას. 831 წელს ბერძნები შეესივნენ აფხაზებს მაგრამ ვერა გააწყვეს რა. მაშინ აფხაზეთს მეფედ იყო

თადეოზი, რომელსაც ძალიან უყვარდა ქრისტიანობა. ამ მეფეს ეკუთვნის დაბა ხონის და იქაური სობოროს აშენება.

## LI

მუხამედი—სომხეთის ემირი ჰშველის ბაგრატს.—ემირი თბილისისა სააკი ეწინააღმდეგებათ. — ბრძოლა რეხის ციხესთან.— ბოღის შემოსევა.—აბხაზეთის მეფენი: გიორგი და იოანნე.—ლიპარიტ ორბელიანი.

მუხამედს ბაგრატის გამეფება უნდოდა, ამიტომ დიდძალის ჯარით შავიდა ქართლში, იერიშით აიღო უფლის ციხე და მერე ხოვ. რეხთან მოუხდა შეტაკება თბილისის ემირის სააკის ჯარებთან. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ, მუხამედი იძულებული იქმნა დაეტოვებინა ქართლი და არანს შეეხიზნა.

რამდენიმე წლის შემდეგ თბილისს შემოუტია ბოღა, ოსმალოს ჯარის უფროსი, კაცი უდიერი და სისხლის მსმელი, რომელმაც სომხეთში და ადარ-ბეჟანში გაწყვიტა 80000 კაცი. ბაგრატი შეუმსრო ამას. ბოღამ აიღო ქალაქი, სააკი მაშინათვე ჩამოახრჩო, გადასწვა ქალაქი და გააოხრა გარემომდებარე ადგილები. საქართველოს ქაზარების შემოსევის შემდეგ ამისთანა აოხრება და განადგურება არა სწვევოდა, როგორც ახლა.

აბხაზეთის მეფემ თადეოზმა თავის შიშისაგამო განიზრახა ბოღას წინააღმდეგობა. ამისათვის ის შეუერთდა ქართლელებს და კვერცხობის ახლოს დაებანაკა. ბოღამ გაგზავნა მის წინააღმდეგ თავის ჯარები ზაქარიას და ბაგრატის წინა-

მფლობელობით. თადეოზი დამარცხდა და დევნილთანდგან გადა-ვიდა რაჭაში და იქიდგან შინ დაბრუნდა.

ბოღამ ქართლის აოხრების შემდეგ, მოინდომა ოსეთის დაპყრობა, რის გამო ის კიდევ წავიდა ჩარტალეთამდე და ცხოვათამდე და ოსებს გამოართვა 300 ამანათი, მაგრამ ამ დროს ბაგრატის ძმამ—გურამმა და სომხეთის მმართველმა აბულაბასმა ხოხოვეს რომ დაბრუნების ნება არ მიეცათ თვითონაც თავის მხრით მის წინააღმდეგ ბრძოლა დაჰპირდნენ. ოსები გაბედ-ულდნენ, შეკრთდნენ და ერთ ვიწრო ღელეში შეეტაკნენ მტერს. ბოღის დიდად დაზარალებული ჯარი ბოღა უკან მოიქცა, არანში მივიდა და იქიდგან კახეთს შეესია. აქ ამ დროს მმართველად იყო გაბრიელ დონაური.

ზაფხულში ხელმეორეთ უნდოდა ბოღას ოსეთზე წასვლა, მაგრამ არაბისტანიდგან ბრძანება მოუვიდა, რომ ტფილისის ემირობა მიეცა მუხამედისათვის და თვითონ დაბრუნებულიყო. ყველა ეს ამბები მოხდა 854—861 წლამდე. საქართველოში ამის წასვლის შემდეგ—დროებით ჩამოვარდა მშვიდობიანობა.

876 წელში მოკვდა ბაგრატ I. რომელსაც მხოლოდ სა-ხელად ჰქონდა მეფობა. გიორგი I, მეფე აბხაზეთისა შემოვიდა ქართლში, დაიპყრო ეს ქვეყანა და ერისთაობა მისცა დიმიტ-რის შვილს—ტინენს. მაგრამ გიორგი რომ მოკვდა და გა-მეფდა შვილი ამისი იოანე, დედა ამისმა მოაკვლევინა ტინენა და ტინენის ძმა—ბაგრატი ზღვაში ჩააგდებინა, რადგან არ უნდოდა რომ ვინმე სხვას ჰქონოდა წილი აბხაზეთის სამეფოს მმართველობაში. ბაგრატი ვიღაც მეტივეებმა იპოვნეს და კონ-სტანტინოპოლში წაიყვანეს.

მეფეების დასუსტებამ და მათ მტრის გავლენამ ქართლში გაა-ძლიერა ზოგიერთი გვარები, სხვათა შორის ორბელიანები.

შესანიშნავი ამათგან იმ დროს იყო ლიპარიტ ორბელიანი, მმართველი თრიალეთისა და აშენებელი ციხის კლდე-კარისა მდ. ალგეთის სათავეზე. ამ გვარს დიდი გავლენა ჰქონდა ქართველთა ბედ-იღბალზე; ამას დავინახავთ შემდეგ ისტორიიდგან.

## IV

დავით I და ადარნასე II.—ნასრის დამარცხება.—აფხაზეთის მეფის შვილის ბაგრატის და ნასრის ერთად მოქმედება.—ბაგრატის გამარჯვება.—ასპინძის ომი და ნასრის სიკვდილი.—ომი კახელებთან და აფხაზებთან.—სომხეთის მეფე შველის ადარნასეს. ადარნასეს გამეფება.—აფხაზეთის მეფე კონსტანტინე ეომება ადარნასეს.—კონსტანტინეს ტყვეობა.—ზავი.—აოხრება სომხეთისა.—აშოტი.—მოსვლა ადარნასესთან სომხეთის კათალიკოზისა; ადარნასეს გამგზავრება კონსტანტინოპოლში.

876 წ. ბაგრატი გარდაიცვალა და მისი შვილი—დავით I გამეფდა. ამის ბიძის გურამის შვილს ნასრას არ უნდოდა, რომ დავითს რგებოდა ქართლი; ამიტომ აფხაზეთის მეფის იოანეს მხარე დაიჭირა. მაგრამ 879 წელში იოანე რომ გარდაიცვალა, აფხაზებმა მიატოვეს ნასრი. ნასრი მარტოდ რომ დარჩა ცბიერება იხმარა. მოჰკლა დავითი 881 წელს. ამ შემთხვევამ აღელვა ყველა მოყვრენი დავითისა. მთელი ქართლი, სომხეთი, თბილისის არაბები შეიყარნენ და დავითის მოადგილეთ დასვეს შვილი მისი — ადარნასე მეორე. ნასრი გაიქცა კონსტანტინოპოლში.

აქაც ბედმა კარ გაუღო. განდევნილი ბაგრატი შეატყობს, რომ მას წაერთვა ტახტი აფხაზეთის მეფის ადარნასესთვის

(ეს იყო შვილი იოანნესი). თხოვა იმპერატორისაგან ჯარები და ბერძენი და მოადგა აბხაზეთს; დაიმორჩილა ეს ქვეყანა, მოჰკლა ადარნასე, გამეფდა თვითონ, გამოიწვია სტამბოლიდგან ნასირი, მისცა ჯარები ქართლის დასაპყრობლად. პირველად ნასირი მივიდა სამცხეში, აიღო ციხენი: ოძრხე, ჯვარისციხე და ლომსიანი. აქედგან ქვეშო ქართლისაკენ გამგზავრება უნდოდა, მაგრამ ადარნასემ დაახვედრა ქართლის, სომხის ჯარები, დაამარცხა იგი და კიდეც მოჰკლა. ამ ნაირად გათავდა ეს ომი.

მაგრამ საქართველოში მშვიდობიანობა მაინც არ დამყარდა. კახეთის ქორეპისკოპოზის გაბრო ფონასურის მოადგილემ —ფადლამ დაისაკუთრა გარდაბანი, რომელიც ეკუთნოდა ქართლს, აბხაზეთის მეფე ბაგრატი შემოვიდა ქართლში. ფადლა 893 წელში მოკვდა და ბაგრატი 897 წელში. ამათი მოადგილენი გახდნენ: ქორეპისკოპოსი კვირიკე I და აბხაზეთის მეფე კონსტანტინე.

898 წელში სომხეთის მეფის სემბატისაგან გაჯავრებული ადარბეჟანის მმართველი (ემირი) აფშინი (აბულ-კასიმი) შემოვიდა სომხეთში, ააოხრა იგი, მერე შემოვიდა საქართველოშიაც. ქართლის ცხოვრების სიტყვით: აფშინი ჯერ მოადგა თბილისს, რომლის მმართველი მაშინ იყო ჯაფარი. აქედგან წავიდა და უჯარმას შემოერტყა. უჯარმის მცველნი იყვნენ 300 მხედარი. ამ ციხის ალყამ შეაშინა ციხე ბოჭორმის ჯარები, რომელნიც გაიქცნენ მინამ მტერი მოვიდოდა. კვირიკემ შეატყო, რომ ვერ მოერევა მძლავრსა და ურიცხვს მტერს, სრულიად მორჩილება გამოუცხადა მას. კახეთის დამარცხების შემდეგ აფშინმა გაიარა ქართლი, მივიდა სამცხეში, ჯავახეთში და შემოერტყა ციხე თმოგვს, მაგრამ რომ ვერ აიღო, შემოერტყა მეორე

ციხე—ყველს, რომლის აღების დროს წამებული იქმნა წმიდა გობრონი. *)

აქედგან ავშანი წავიდა ყარსში, სადაც ამ დროს იმალებოდა ჯალაბობა სუმბატისა (სომხეთის მეფისა). აიღო კი ქალაქი და დაატყვევა მთელი ოჯახობა სუმბატისა. სუმბატი იძულებულ იქმნა შერიგებოდა ავშანს, ამასთანავე მისცა მას თავისი უფროსი შვილი.

ამის შემდეგ 904 წლამდე დამყარდა მშვიდობიანობა საქართველოში. მაგრამ ამ წელს აფხაზეთის მეფე—კონსტანტინე შეესია სუმბატის სამეფოს. ადარნასე მიეშველა სუმბატს და ორივემ დაამარცხეს კონსტანტინე და დაატყვევეს, მაგრამ მალე აპატიეს დანაშაულობა და გაანთავისუფლეს. სამწუხაროდ, მალე უთანხმოება ჩამოვარდა ადარნასეს და სუმბატს შორის, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მეტ პატივს სცემდა კონსტანტინეს და არა ადარნასეს. ამან 907 წელს ზოგიერთ სომხების თავადებთან ერთად განიზრახა სუმბატის დამარცხება. მაგრამ სუმბატმა გაიმარჯვა; ჩამოვარდა ამათ შორის ზავი, რომლის ძალითაც ადარნასეს სუმბატისთვის უნდა მიეცა ყველა ის სომხის თავადები, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ადარნასეს შეთქმულობაში.

ამ გვარ გამარჯვებებით გაგულისებულმა სუმბატმა გამოუცხადა ომი ადირბეჯანის ემირს იუსუფს. ომი გაგრძელდა 914 წლამდე. ბოლოს იუსუფმა დაამარცხა იგი და მთელის სახლეულობით დაატყვევა. მოიყვანა დვინში და ჩამოახრჩო.

---

*) გობრონი (მიხეილი) ცნობილია ქართველთა ეკლესიისაგან წმიდანად.

მ. ჯ.

სომხეთი ჩავარდა სამწუხარო მდგომარეობაში; ყველა თავადები შებორკილ და ყმათ წაყვანილ იქმნენ. მრავალი ქრისტიანი სომეხი გასწყვიტეს, რადგან მტკიცეთ იდგნენ თავის რჯულზე. სოფლები, ქალაქები დაანგრიეს, ააოხრეს.

915 წელში სუმბატის შვილი—აშოტი 600 თავ-განწირულ მხედრით მოვიდა საქართველოში და სთხოვა ადარნასეს, რომ მისთვის სამეფო გვირგვინი ეკურთხებინათ. სურვილი აღუსრულეს ადარნასემ და აბხაზეთის მეფემ. ამის შემდეგ აშოტი შეუტევს. სადაც კი შეხვდებოდნენ არაბები, ჰხოცავდა და ჟლეტავდა მათ. მაგრამ მაინც ვერაფერს გამოდნა, რისგამო 920 წელში სომხეთის კათალიკოზი იოანნე VI მოვიდა ადარნასესთან და სთხოვა შემწეობა. რადგან ადარნასე თვითონაც იყო შევიწროებული და თვითონაც ეძიებდა შემწეობას, ჰპირობდა სტამბოლში წასვლას, შემწეობის სათხოვნელად, ამიტომ უარი უთხრა იოანნეს.

ამისთანა მდგომარეობაში იყვნენ საქართველო და სომხეთი, როცა 923 წელში მოკვდა ადარნასე.

## V

ადარნასეს სიკვდილის შემდეგ გამეფდა ქართლში შვილი მისი სუმბატი I. აფხაზეთის მეფე გიორგი II, შვილი კონსტანტინე I-სა შემოვიდა ქართლში, ხოლო იგი და მეფედ დასვა შვილი თვისი კონსტანტინე. სუმბატს დარჩა მხოლოდ სამხრეთ ტაო, ჯავახეთი, არტაანეთი, სამშვილდე, ხუნანის საერისთო, გარდაბანი, კლარჯეთი, და სხ. კონსტანტინემ სამი წლის განმავლობაში ბევრჯელ გაიმარჯვა მტრებზე და ამით

იმედ-მიცემულმა 926 წელში მოინდომა სრულიად განთავისუფლებინა ქართლის სამეფო აბხაზეთის სამეფოს დამოკიდებულებისაგან. გიორგიმ შეაგროვა დიდ ძალი ჯარი და გაილაშქრა თავის შვილზე, რომელიც გამაგრდა უფლის-ციხეში. ბევრი ხალხი დაიხოცა, მაგრამ გიორგიმ ვერა დააკლო რა შვილს. ბოლოს ხერხი იხმარა. გაუგზავნა წარჩინებულნი პირნი და თავის მხედრობის პირით მოახსენა რომ ვითომ ჯარს სურს მისი გამეფება და მამისთვის ტახტის წართმევა, რისგამო საჭიროა იგი გამოეცხადოს ჯარს. უბედურმა კონსტანტინემ დაუჯერა ამ გვარ სიცრუეს, დაჯდა ცხენზე და ღამე გასცურა მის ჯარებისკენ. რამწამ აბხაზებმა დაინახეს, მოკლვა დააპირეს, მაგრამ კონსტანტინემ დროით გასცურა მეორე კიდელის და სადღაც მაინც მიიმალა. თუმცა მალე მიაგნეს მას და წარუდგინეს გიორგის, რომელმაც სიკვდილი გადუწყვიტა; მისი ადგილი კი მისცა თავის მეორე შვილს, ლეონს.

929 წ. კახეთში კვირიკე II (ფადლას შვილი) დროს გარდაბანელებმა მოიწვიეს გიორგი და კახეთის ქორეპისკოპოზის უფლებისაგან განთავისუფლების სურვილი გამოუცხადეს. გიორგი შავიდა კახეთში, დასწვა და დაანგრია ბევრი ადგილები, მაგრამ ზამთრის გასატარებლად დაბრუნდა ატენში, სადაც გამოეცხადა შეშინებული კვირიკე — მორჩილების გამოსაცხადებლად. მაგრამ მალე კიდე გაიქცა, თუმცა ხელ-ახლა დაჭერილ იქმნა გიორგისაგან. გიორგი ხელახლა შავიდა კახეთში. კვირიკეს ძმამ დაუთმო მას უჯარმის ციხე და ზოგიერთი სხვა ადგილები. ბოჭორმა, ლოწობანი, მარილი და ნახიწევანი კი არ ემორჩილებოდნენ. მაგრამ გიორგიმ ორი უკანასკნელი ციხეებიც რომ აიღო, მაშინ კვირიკემ გამოუცხადა, რომ უთმობს მას კახეთს, ოღონდ კი განთავისუფლოს და მისცეს

ნება, რომ ჩამოარი გაატაროს ბოჭორმის ციხეში. გაჩაღებულში კი გადმოხედებს კახეთიდგან. გიორგი დათანხმდა და აბხაზეთში დაბრუნდა. გაჩაღებულზე კვირიკე არათუ გადასახლდა კახეთიდგან, არამედ უარი ჰყო თავის პირობასი და ქართლის აზნაურების დახმარებით გამოდევნა აბხაზები და განათავისუფლა ციხეები.

კვირიკეს მოქმედებამ ძალიან შეაწუხა გიორგი, რომელმაც გამოგზავნა ახალი ჯარები თავისი შვილის ლეონის წინამძღოლობით კვირიკეს დასასჯელად. რამდენიმე ლეონი შემოვიდა კახეთში, ამას მოუკვდა აბხაზე მამის სიკვდილზე. საჩქაროთ დაბრუნდა აბხაზეთში, ავიდა მამის ტახტზე, გამეფდა ლეონ III სახელობით, შეურიგდა კვირიკეს და დაუთმო მას კახეთი. ეს მოხდა 955 წელში.

სუმბათი მოკვდა 959 წელს, მას დარჩა შვილი, ბაგრატ II რეგვენად წოდებული.

ლეონ III იმეფა 2 წელიწადს და მოკვდა 957 წელში უშვილოდ. გამეფდა მისი ძმა დიმიტრი. ძმა ამისა თეოდოზ, რომელიც იყო გაგზავნილი საბერძნეთში სწავლის მისაღებად, დაბრუნდა იქიდგან სამცხეში, შეაგროვა ჯარები წინააღმდეგ ძმისა, მაგრამ დამარცხებული იქმნა. თეოდოსი დაიმალა ქართლში მამის ციხეში; მაგრამ სამ თვეს გარს შემორტყმული ციხეები დაემორჩილნენ იმ პირობით, რომ თეოდოსი გაჰთავისუფლებისათ.

ამავე ხანებში დავითმა გამოამწყვა ქართველების თორნიკეს წინამძღოლობით, საბერძნეთის იმპერატორის თხოვნისამებრ, წინააღმდეგ იმპერატორის მტრის — ბარდა სკლაროსის. ქართველების შეწევნით ბარდა სკლარი სრულიად დამარცხდა იმპერატორმა, თორნიკეს დიდი ალაფი დარჩათ. ამ ალაფით

ქართველებმა ააშენეს მრავალი ეკლესიები დასავლეთ საქართვე-ლოში.

თეოდოსიმ მაინც არ დაითმო: კახეთის ქორეპისკოპოზის კვირიკეს II-ის შემწეობით უნდოდა აფხაზეთის მეფედ გახ-დომა. მაშინ ძმამ ხერხი იხმარა: სთხოვა კვირიკეს, რომ შე-ერიგებინა ორთავე. კვირიკემ შეარიგებს მოასხდინა იმ პირობით, რომ ორივეს დაევიწყეთ თვისი წარსული უკმაყოფილობანი, მტრობა და მშვიდად ესარგებლნათ თავის მამის ქონებით. შე-რიგების ფიცი მოხდა მცხეთის სობოროში, სადაც მოვიდა თეოდოსი, დიმიტრი, კვირიკე და სხ. ფიცის შემდეგ ორივე ძმები წავიდნენ აფხაზეთში, მაგრამ დიმიტრიმ შებოჭილს ძმას —თვალები დასთხარა, და საპყრობილეში ჩააგდო. ამ გვარ ულმერთობამ აალელვა აფხაზები, რომელთაც მეფობა წაართ-ვეს და, რადგან შვილი ამისი უწლოვანი იყო, გამოიყვანეს საპყ-რობილედგან თეოდოსი და მეფედ დასვეს (979 წ.)

ამასობაში კვირიკე შევიდა ქართლში და შემოარტყა უფ-ლის-ციხეს. თავადმა იოანე მარუშისძემ მოიწვია დავით კურო-პალატი (გამოჩენილი მეომარი მაშინდელი დროისა) ჯარებით ქართლის დასაჭერად ან იგი მას თუ არ იხმარდა, მისცა შეძ-ლება ამ საქმის აღმასრულებლად კუროპალატის გურგენის შვი-ლის ბაგრატისათვის, შვილის-შვილისათვის ბაგრატ რეგვენისა.

დავით დაეთანხმა. შემოვიდა ქართლში, განდევნა კვირიკე და გაამეფა ქართლში თავისი შვილობილი ბაგრატი III.

ბაგრატ III-ის გამეფება (980 წ.) მეტად სასარგებლო იყო საქართველოს სამეფოს გასაძლიერებლად. ბაგრატი რადგან მცირე-წლოვანი იყო, ქართლს განაგებდა დავითი. ამ დროს არაბების სიძლიერეს ბოლო ეღებოდა. მათი ვრცელი სამეფო სუსტდებოდა შინაური შფოთის და უთანხმოების გამო. ამი-

ტომ თბილისის ემირს ბაღდათან მეტი გავლენა ჰქონდა საქართველოს შინაურ საქმეებზე.

ამავე დროს ქართლში ისევ გაჩნდნენ წინააღმდეგნი ბაგრატისა, რომელნიც ებრძოდნენ მეფეს. ამათ მოთავე იყო ქავთარა ტბელი, რომელმაც მოიწვია კვირიკე. ამან აიღო უფლის-ციხე და დაატყვევა გურგენი და ბაგრატი, მაგრამ დავითი დაეცა და გაანთავისუფლა იგინი, კვირიკე კი განდევნა ქართლიდგან.

ამავე დროს აფხაზეთშიაც აღელვებული იყო აზნაურობა, რადგან ბრმა თეოდოსი ვერ ჰმართავდა სამეფოს. ამით ისარგებლა ამავე იოანე მარუშისძემ და იმდენი ეცადა, რომ თავის მხარეს გადმოიბირა უმთავრესი ნაწილი აფხაზეთის დიდ-კაცობისა და ჩააგონა მათ, რომ მოეწვიათ მეფედ ბაგრატი. აფხაზებმა გამოუგზავნეს დავითს შუა კაცები და სთხოვეს შვილი მეფედ აფხაზეთისა. დავითი დათანხმდა როცა ამანათები მოსცეს წარჩინებულ გვარებიდგან. მაშინ დავითმა დალოცა თავისი შვილი და გაისტუმრა ქუთაისში, აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქში, სადაც ხალხმა შეჰფიცა მას ერთგულობა. ასე 985. წელში შეერთდნენ აფხაზეთ-ქართლის სამეფონი ბაგრატ III-ის მეფობის დროს.

მოსე ჯანაშვილი.

## „იმედის“ კორრესპონდენცია სენაკიდგან.

სამეგრელო, 2 გიორგობისთვეს 1881 წ. ცნობილია, რომ ხალხის უმეტესობას მხოლოდ შეადგენს გლეხობა. ამ გლეხობის ხვედრი არის მუდმივი შრომა—მიწის შემუშავება. გლეხი თავის ცხოვრებას ატარებს განუწყვეტელ შრომაში. თავის ოფლით მონაგარი მოსავლით ის აძლევს დღიურ საზრდოს არა მარტო თავის ღარიბ ოჯახს, არამედ ჩვენც, რომელნიც ჭირნახულის მოყვანისა არა გაგვეგება რა, და აკმაყოფილებს სხვა-და-სხვა სახელმწიფო მოთხოვნილებათა. აქედგან სჩანს, რომ გლეხი მუდამ ზრუნავს, როგორც თავის-თავზედ, ისე ჩვენზედაც, მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენ კი გულ-გრილათ შევცქერით ამ დაჩაგრულ შრომის შვილს, არ ვხედავთ მასში ჩვენთვის მოამაგეს, არ ვფიქრობთ, რომ ცოტათი მაინც გაუადვილოთ მას თვისი მეტის-მეტად შევიწროებული ცხოვრება.

ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან რამდენსამე ნამდვილ ფაქტებს სენაკის მაზრის ცხოვრებიდგან რომელზედაც მე მჭა-დიან ბაასი.

ამ გაზაფხულზედ ჩვენ სენაკის მაზრაში ზოგგან გაჩნდა ერთი ცუდი, გადამდები ავათმყოფობა. ამ სენმა ბევრი კაცი უდროოთ გაისტუმრა საიქიოს. აი რა ნაირათ მოქმედებდა ეს ავათმყოფობა სნეულზედ: ჯერ ის გრძნობდა მეტის-მეტ სიცხეს და მსწრაფელ ვარდებოდა ლოგინში; მერე აუვარდებოდა

თავის და ფილტვების ტკივილი, რის შემდეგ ორი-სამი დღის განმავლობაში ლევდა იგი სულსა. რადგანაც ეს ავათმყოფობა ადვილად გადადიოდა ერთიდგან მეორეზედ, ამისათვის გავარდა ხმა, რომ სახადი გაჩნდა. — ამ ხმის მოწყალებით, გაჭირვებული ავათმყოფი მოკლებული იყო კარგ მოვლას და სიკვდილის შემდეგ ძლივს-ძლიობით ღირსებოდა მას შავს საფლავში ჩასვენება. ეს ავათმყოფობა მეტადრე გაძლიერდა სოფელ ეწერში და დიდი მაცხოვრის კარში, სადაც ეხლაც ეკლესიების ეზოებში თითქმის თითოეულ ნაბიჯზედ ნახავთ ახალ მიცვალებულის საფლავს. ხალხი იხოცებოდა . . . მხოლოდ მაშინ ორიოდე კერ ჩამობრძანდა ამ სოფელში ჩვენი მაზრის ექიმი. . . . მიდიოდა ავათმყოფთან და მის ერთი შეხედვით ამბობდა: „ამ ავათმყოფობაში არა არის რა საშიში;“ ამის შემდეგ ის დაუყოვნებლივ უკან ბრუნდებოდა და უდარდელათ მიემგზავრებოდა მაზრის ქალაქისაკენ. აი ამით თავდებოდა, მკითხველო, ექიმის ხალხისადმი მედიკური შემწეობა!

ამ ხშირ სიკვდილმა თქვენი ჭირი წაიღოს. მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო ის მოვლენაა, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს მაზრაში ძალიან გავრცელდა კაცის-კვლა. აი რამდენიმე ნამდვილი ფაქტები ცხოვრებიდგან.

სოფელს ე—ში გლეხთ მ—ს და გ—ს ჰქონიათ ცოტაოდენი სადაო მიწა. თუმცა დიდი ხნიდგან ეს მიწა ყოფილი გ—ის მფლობელობაში და სარგებლობაში, მაგრამ მ—ები მაინც კიდევ არ ეშვებოდნენ თავის მეზობელს და ითვისებდნენ ამ მიწას საკუთრებათ.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს გ—ლი დაადგა მიწას ჩვეულებრივ, სჭრიდა ხეებს და ამზადებდა მას საყანეთ. მაშინ მოუსწრდნენ ამ საქმეს რამდენიმე მ—ები ლანძღვა-

გინებით, დასცეს დედა-მიწაზედ, ჯერ მხეცურად და შეუბრა-ლებლად სიკვდილამდის სცემეს და მერმეთ ერთმა მათგანმა-აიღო ცული და შუბლი გაუხეთქა. მწუხარე გ—ლი, რომლის დაჭრილობიდგან სისხლის ნაკადული მოდიოდა და გზა-და-გზა რწყავდა დედა-მიწას, რამდენიმე ხნის შემდეგ მოათრიეს მშობლების სახლში. ზარ-დაცემულ და შესაბრალისს მშობ-ლებს ჯერ კიდევ კარგათ არ ენახათ თავიანთი დაჭრილი შვი-ლი, რომ მან მეტის-მეტ წვალებაში კიდეც დალია სული. ამ საქმის თაობაზედ მოახდინეს გამოძიება და მკვლელი ჩასვეს სატუსაღოში. ერთიც ვნახოთ, ცოტა-ხნის შემდეგ, რამდენიმე გავლენიანი პირების შემწეობით, ეს კაცის მკვლელი, მეზობ-ლის სისხლის მსმელი, სატუსაღოდგან გამოუშვათ. ის დასეირ-ნობს სოფელში არხეინათ, როგორც ნამდვილათ მართალი კა-ცი. მოკლულის საბრალო მამა თითო მის დანახვაზე შესაბრა-ლისი ოხვრით წამოიძახებს ხოლმე: „ღმერთო, იმდენი რა გა-წყინე, რომ ჩემი შვილის უდროვოთ სიკვდილმა ასე ჩუმათ ჩაიარა!" მთელი ხალხიც უკმაყოფილო დარჩა, როდესაც ამ ჩაიო ბოროტ-მოქმედებამ დაუსჯელათ ჩაიარა. . . .

ამ ბოროტ-მოქმედების შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ს. გ—ში მოხდა უფრო შემაძრწუნებელი შემთხვევა. აქ ორნი ძმანი ერთად სცხოვრობდნენ. უფროსმა ძმამ, (რო-მელსაც ცოლი ჰყვანდა) უმცროსს შერთო ისეთი ქალი, რო-მელსაც თითონ ჰყვარობდა. ცოლის შერთვის შემდეგ, უმც-როსი ძმა წასულა სხვაგან ცოტა-ოდენი ფულების მოსაგებათ, იქვე გაეგო ძმის უნამუსობა და ბოროტ-განძრახვით შინისკენ წამოსულიყო. შინ მოსვლისთანავე მან და მისმა ცოლმა ში-რობა შეჰკრეს, რომ იმ ღამეს მოეკლათ ეს უფროსი ძმა. შეა-სრულეს თავიანთი სურვილი: შუა-ღამისას ორნივე დაეცნენ

მძინარეს, მაღლიდგან წააქცევს, ფიცარზედ დააგდებს და გადა-ძაჩეს მდინარე რიონში. რამდენიმე დღის უკან მიცვალებულის სხეული იპოვნეს რიონის ნაპირზედ. ამ საქმეზედ გამოძიება მოახდინეს. აღმოჩნდა, რომ ის მოკლულია და არა წყალში დამხრჩვალი. ამის-გამო უმცროსი ძმა და მისი ცოლი დაა-ტუსაღეს. ამბობენ, რომ ისინიც გაუთავისუფლებიათ. . . .

კიდევ ერთი შემთხვევა. სოფელ——კ——ში ერთი გლეხი თავის ეზოს თხრილს აკეთებდა. მეზობელი, რომელსაც წინეთ რაღაც ამისი ჯავრი ჰქონოდა, მოუვარდა დიდი კეტით და უთხ-რა, რომ შენ აქ რა გინდა, ეს ჩემი მიწა არისო. ცოტა ხანი დაჩხუბა-გინების შემდეგ ამ უწყალომ დაარტყა კეტი საბრა-ლო მუშას და იქვე სული გაანთხევინა. მკვლელი დაიკარგა. ბევრი ამ ნაირი ბოროტ-მოქმედება მოხდა ჩვენს მაზრაში, მაგრამ მათ ჩამოთვლას საჭიროდ არა ვხედი, რადგანაც ისიც საკმაოა რაც ითქვა. . . .

ყველაზედ უფრო გასაკვირველი და ღირს შესანიშნავია ის მოვლინება, რომ ეს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ბო-როტ-მოქმედებისა მოხდნენ სენაკის მაზრაში. მკითხველი აშ-კარად ხედავს, თუ რა მავნებელი გავლენა აქვს დაბალი ხალ-ხის ზნეობით ცხოვრებაზედ ამ ბოროტებას, მას ზედ დაჰ-ყვება უსათუოდ სხვა მრავალ გვარი. . . .

საზოგადოთ ყველანი და განსაკუთრებით ზემოხსენებული სასოფლო-ეკლესიის მამასახლისები არიან . . . მოხელე უ. პრის-ტავისა. ისინი დაუყოვნებლივ ასრულებენ ყოველივე პრისტა-ვის ბრძანებას, რომელიც, შეიძლება, ბევრჯერ იქნეს მავნე-ბელი ხალხის ცხოვრებისათვის. იქაური პრისტავი. . . . ისე-თი გონიერი კაცი ბრძანდება, . . . რომელსაც მოხდება საქმე უბედური შემთხვევა, ეს უ. პრისტავი პირველად მოახდენს

. . . გამოძიებას და ამით გათავდება საქმე. . . . ის არის საზოგადოების მოთავე, მაგრამ ემსახურება მას იმდენათ, რამდენათაც ეს . . . სასარგებლოა. მაგრამ გარდაიცვის, რომ ამისთანა კაცი ხალხს სამსახურს ვერ გაუწევს. თუმცაღა ქსუთი ყოფილა ეს პრისტავი, მაგრამ მას მაინც გაუტარებია თავისი სიცოცხლე ამ თანამდებობაში სიბერემდის და მიუღწევია თავისი პირთვნებითი მიზნამდის. აი ის . . .

. . . მაზრის უფროსი გახლავთ ის პატიოსანი გვამი, რომელმაც ამას წინეთ გადააჭარბა თავის თანამდებობას, თამამათ შეერია ხალხის განათლების საქმეში და, რამდენიმე თავისი ამხანაგების დახმარებით, «დროების» ერთ პატარა წერილში წარმოსთქვა ის აზრი, რომ ჩვენი ხალხისთვის რუსულენის შესწავლა უფრო საჭიროა, ვინემ ქართულისა—( . . . ) ვიცით. თუ რა მიზნით წარმოსთქვა ამ ბატონმა ეს . . . . აზრი, ისიც ვიცით, თუ რა ქება შეასხა ჩვენმა მწერლობამ ამ ბატონს ამის წარმოთქმისათვის. ამ ბატონს ისეთხაიერათ უვლის ის ზემოხსენებული . . . პრისტავი . . ., რომ იმაზედ საჩივრის სმენა მეტის-მეტად ეზარება; . . .

ამბობენ, რომ გლეხობა ძალიან ბნელი ხალხიაო. მაგრამ დროთა ვითარებამ ბევრათ შეუცვალა ფერი ამ აზრს. . . . მაზრის გლეხობა არც ისეთი გაუნათლებელი გახლავთ, რომ ვერ გაარჩიოს კარგი ცუდისაგან. ამ ხალხმა კარგათ გაუგო ზემო-ხსენებულ პრისტავს . . . მრავალი უსამართლო მოქმედება, მაგრამ პირველად ვერ გაბედა მაზედ ხმის ამოღება. ბოლოს, როცა ამ ბატონის უსამართლო ქცევამ მიაღწია უკანასკნელ ხარისხამდის, ზოგიერთ ხალხის წევრებმა ვერ მოითმინეს და უჩივლეს მას გუბერნატორთან. ეს საჩივარი იყო დამყარებული მრავალ საფუძვლიან საბუთებზედ. . . .

ერთი სიტყვით სარწმუნო ისეთი საბუთიანი იყო, რომ უ-პროისტყვის საქმე ცუდათ უნდა წასულიყო; მერე გზა არ იყო, ის უნდა გამოთხოვოდა თავის ალაგს საუკუნოდ. მას, როგორც მლოცველს, ძალიან ეშინოდა ამ საქმის გამომძიების შედეგისა. მაგრამ, დახე მის ბედის წყალსა! ეს საქმე გამოსამიებლად მიანდეს შემოსიყრებულ . . . . . მაზრის უფროსს, . . . ჩარხი უკუღმა დატრიალდა: გულდამ იჯობნა, რომ საქმე ცუდათ წავიდოდა — სარწმუნო თავის მიზანს ვერ მიაღწევდა, რადგანაც ნამდვილი გამომიება არ მოხდებოდა. . . .

დადგა გაზაფხული: მთელს სამეგრელოში მოეფინა ხმა, რომ რეკვიზიტორი მოდისო. ამ მოულოდნელმა ხმამ მოჰგვარა ხალხს მოულოდნელი ყოველნაირი ცხოვრების გაუმჯობესობისა. ყოველ გლეხს გაუჩნდა გულში იმედის ნაპერწკალმა და ფიქრობდა, რომ მზე მოვა მაინც მეშველად რამე, რეკვიზიტორს შეჩივლებს ჩემს გულის ტკივილს, და, ვინიცობაა, მისი შემწეობით, ცოტათი მაინც გამოადვილებს ამ წუთი სოფლის შევიწროვებული ცხოვრებით. —

. . . ამ ხმამ რაღაც თავზარი დასცა მოსამსახურე პირებს (ადმინისტრაციას). არც ერთ მათგანს ჩვეულებრივი ფერი არ ედო. მაზრის ქალაქ ახალ-სენაკში გაჩნდა არა ჩვეულებრივი ფაცა-ფუცი და მთელი დღეობით დუღდა მუშაობა კანცელარიებში; აქამდინ კი მოსამსახურე პირები სანახევროთ არა დადიოდნენ კანცელარიებში. ამ დროს აქ ასწორებდნენ ძველ ჟურნალებს, საქმის ქაღალდებს და სხ. იმ მიზნით, რომ კარგათ დახვედროდნენ ბ. რეკვიზიტორს. მართლაც ყოველისფერი დაწვრილებით შეასწორეს. . . .

აი მობრძანდა ბ. რეკვიზიტორი. ის ძალიან გარეგნათ ჩხრეკდა კანცელარიების ჟურნალებსა და ქაღალდებსა, ხათრიანათ ეკ-

ცოდა ყველა მოსამსახურე პირებს და ბევრი ნაკლულევანებასაც ნახა მათში . . .

მაზრის ქალაქიდგან ე. რევიზორი გაემგზავრა სოფლების დასავლელათ. ბევრგან მან მოახდინა რამდენიმე საზოგადოების კრება: თვით ე. რევიზორი პირადათ კითხულობდა ყველა საზოგადოების კრებას იმაზედ, თუ რა მდგომარეობაშია ხალხი, რა აწუხებს მას, რა ესაჭიროება, როგორ ეპყრობიან მას მთავრობისაგან დანიშნული პირები და სხ....

ამ სიტყვებს გამგონე ხალხი ყურს უგდებდა და ემუსაიფებოდა რევიზორს. ბევრი გლეხი ქუდ-მოგლეჯილი გარბოდა წინ ამ ხალხის გროვაში და სურდა მას შეეჩივლა რევიზორისათვის თავის მდგომარეობაზედ. . . .

სენაკელი.

## ამა 1882 წელს
### საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
## «შრომა»

გამოვა იმავე პროგრამმით და მიმართულებით, როგორც 1881 წელს გამოდიოდა.

გაზეთის პროგრამმა:

I. სტატიები თანამედროვე კითხვებზედ, II. ტელეგრამმები. III. ადგილობრივი ამბები და შენიშვნები. IV. ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები, V. ქრონიკა ადგილობრივის თვით-მმართველობისა, VI. მიწერები და კერძო წერილები, VII. საპოლიტიკო მიმოხილვა გარეშე და შინაური, VIII. კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურისა. IX. ფელეტონი: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა-და-სხვა შენიშვნები. X. ეკონომიური მიმოხილვა ჩვენის ქვეყნის მხარისა, XI. სამსაჯულო ცნობები და შენიშვნები, XII. ცნობათ ფურცელი და განცხადებანი.

გაზეთი გამოვა ორშაბათობით, სამშაბათ საკვირაოთ ქაღალდის ფურცელზედ, ხანდახან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლისა — შვიდი მანეთი, ნახევარ წლისა — ოთხი მანეთი, სამის თვისა — ორი მანეთი და ხუთი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემცების ქუჩაზედ, ქნეინა მიქელაძის სახლში, 2) მ. გ. წულუკიძის სტამბაში, თბილისის ქუჩაზედ, კრიჟანოვის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მაღაზიაში.

ქ. ტფილისში: მაკარიძის გაზეთების საკანტოროში.

ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნილებით ხელისმოწერის რედაქციას უნდა მიმართონ.

რედაქტორი თ. დიმ. ი. დადიანი.

გამომცემლები: თ. დ. ი. დადიანი და დ. ა. ნაზარიძე.

## ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## «დროება»

გამოვა იმავე პროგრამმით და რიგით და იმავე თანა-მშრომლების დახმარებით, როგორც აქამდის გამოდიოდა. როგორც გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტაობით მაინც, შეძლებისა-და-გვარად, გაეუმჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წლისთვის ცდილობს და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილებას შემოიღებს გაზეთში და გააუმჯობესებს იმის გამოცემას.

ხელის-მოწერა მიიღება;

ტფილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. გ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოით-ხოვონ გაზეთი: Въ Тифлисъ, Въ редакцію газеты «ДРОЭБА».

«დროებაზე» და «ივერიაზე» ორივეზე ერთად ხელის-მოწერა მომავალის წლიდამ არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | |
|---|---|
| ერთის წლით — — — — — — — — | 9 მან. |
| ნახევარის წლით — — — — — — — | 5 " |
| სამის თვით — — — — — — — — | 3 " |
| ერთის " — — — — — — — — — | 1 " |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ მიიღება. ხოლო ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისთანავე უნდა გამოუგზავ-ნოს რედაქციაში. ვთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი ის. მელიქიშვილი.

# ОБЪ ИЗДАНІИ

в 1882 г. въ г. Тифлисѣ еженедѣльнаго юридическаго журнала

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(годъ второй)

Журналъ, какъ и въ 1881 году, будетъ выходить по четвергамъ въ размѣрѣ до 2 печатныхъ листовъ текста, кромѣ приложеній, по прежней программѣ, *въ объемъ которой входятъ* статьи по всѣмъ вопросамъ, *вытекающимъ* изъ теоріи и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и обсужденіе *важнѣйшихъ* распоряженій и узаконеній правительства, *краткіе* отчеты (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) о выдающихся судебныхъ дѣлахъ, *особенно интересныя* гражданскія рѣшенія, *случаи изъ судебной жизни и практики* (смѣсь), корреспонденціи *юридическаго содержанія*, городская хроника, *перечень* новыхъ книгъ *юридическаго содержанія*, обзоръ печати, тезисы кассаціонныхъ рѣшеній *Правительствующаго Сената и Тифлисской Судебной палаты*, судебный указатель *и проч.*

---

Заботясь о посильномъ выполненіи своей программы, журналъ заручился сотрудничествомъ, сверхъ многихъ лицъ судебнаго вѣдомства, также и нѣкоторыхъ профессоровъ-юристовъ.

Редакція *журнала—Тифлисъ Ново-Бебутовская ул. д. № 6*— Администрація (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—*Тифлисъ, Соломонская ул. д. № 40.* Подписная цѣна на журналъ, *съ доставкою и пересылкою, на годъ*—10 р., на 9 мѣс. 8 руб. 20 к., на 6 мѣс. 6 р., на 3 мѣс. 3 р. 20 к., на 1 мѣс. 1 р. 20 к. Разсрочка въ платежѣ денегъ —по соглашенію съ администраціею журнала. Под[illegible]ся можно съ 1-го числа каждаго мѣсяца, и не далѣе конца года—Отдѣльные нумера по 25 к. Объявленія, казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.

*Иногороднихъ просятъ обращаться исключительно въ администрацію журнала.*

Издатель А. С. Френкель.

Присяжный поверенный

Редакторъ А. В. Степановъ

ი 474
1882

1882 წლის ჟურნალი „იმედზედ" ხელ

მიიღება ქ. ტფილისში რედაქციაში, რომელიც იმყოფე-ბა კუკიაში, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზედ, ნემენცების სასაფლაოსთან, № 12.

გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: *Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „ИМЕДИ."*

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ქალა-ქებში და ტფილისში შინ მიტანით არის 8 მან.

ნახევარი წლისა — — — — — 4 მ. 50 კ.

სამი თვისა — — — — — — 2 მ. 50 კ.

ცალკე ნომერი ღირს — — — — 1 მ.

---

ვისაც ჟურნალი მისდით და ხვედრი ფული ჯერ არ შემოუტანიათ, უმორჩილესად ვსთხოვთ, მიღებისთანავე ამ წიგნისა, ანუ გამოგზავნონ ხვედრი ფული, ან არა და ნამდვილათ აცნობონ რედაქციას — გვზავნოსთ შემდეგი წიგნებიც თუ არა, რომ ჩამოტანის ექსპედიტორების ბეჭკილით და გზავნით არ მოეცდეს რედაქციას ზარალი.

---

ვისაც რომელიმე ნომერი ჟურნალისა არ მისვლიათ, ან არ მიუღიათ, ვთხოვთ გვაცნობონ დაკარგული ნომრები გავუგზავნებით ხელ-ახლად.

---

რედაქტორი და გამომცემელი მ. შარაშენიძე.